ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 19 ივნისი, 2017 №143 (7378) ფასი: 50 თეთრი



## „უსუფაშვილს ქარიზმა საერთოდ არ აქვს“

პეტრე მამრაძე: „ჩემთვის სააკაშვილი ყოველთვის პოლიტიკური კლოუნი იყო“

გვ.3

15 ივნისიდან

ფილიპ ჩესტერფილდი

წერილები ჩემს ვაჟს




ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# „2020 წლიდან ხელისუფლებას კახა კალაძე გადაიბარებს“





## კახა კუკავა:

გვ.5

## „ივანიშვილი უშვებს იმ შეცდომას, რომელიც პატარკაციშვილმა დაუშვა“

„ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა 2020 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს საპარლამენტო უმრავლესობა. დიქტატორებს არ სჯერათ, რომ ისინი სამარადჟამოები ვერ იქნებიან. ყველა დიქტატურას აქვს თავისი დასასრული!“




## „ივანიშვილი ჭორვილაში არ დაგვხვდა“

გვ.2

რას აცხადებს ყოფილი პრემიერის დაცვა

### 56 მილიონის ტენდერების სკანდალი



## ლევან ხაბეიშვილი: „ნახევარი საათი გავატარე ამ შენობაში და კინაღამ თავის ტკივილმა მომკლა“

გვ.3

რატომ გარბიან დევნილები თეთრიწყაროს დევნილთა საცხოვრებლიდან



## ანზორ აბრალავა: „განათლების სისტემაში სრული ფიასკო გვაქვს“

გვ. 4

## სუს-ისა და შსს-ს დანაყოფებმა პირველი ერთობლივი წვრთნა ჩაატარეს

გვ.5





## სიმონ ჯანაშია: „არ მესმის, რატომ არ უნდა მიეცეთ ჩაჭრილ მოსწავლეებს გადაბარების შანსი“

ISSN 1987-9385

# „ივანიშვილი ჭორვილაში არ დაგვხვდა“

შორენა მარსაგიშვილი

**ბიძინა ივანიშვილის გარშემო სკანდალი გრძელდება. 16 ივნისს ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყოფილი პრემიერი ცუდად არის და სამკურნალოდ ევროპის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს.**

**ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს „ქართული ოცნება“. ყოფილი პრემიერის ავადმყოფობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მისმა შვილმა ბერა ივანიშვილმაც უარყო.**

**ივანიშვილის გარემოცვის ინფორმაციით, ყოფილი პრემიერი ჭორვილაში, საკუთარ სახლში იმყოფება.**

ეს განმარტებები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მათი თქმით, ივანიშვილი კარგად რომ ყოფილიყო, საკუთარი კარგად ყოფნის შესახებ ერს ან აუდიომიმართვით აცნობებდა, ან ვიდეოს გადაიღებდა.

ყოფილი პრემიერის გასაიდუმლოებულ ჯანმრთელობის მდგომარეობას გუშინ, 18 ივნისს, ჭორვილაში დიდი ცემა-ტყეპა მოჰყვა. დაპირისპირების მიზეზი თბილისიდან ჩასული 4-ქალიანი დელეგაცია იყო.

მეგი გოცირიძემ, დიანა გაბროშვილმა, მარინა გეგიძემ და ირინა ცააძემ ჭორვილაში წასვლის შესახებ ინფორმაცია 17 ივნისს გაავრცელეს.

– ჩვენ, დედების ორგანიზაციის წევრებმა, გადავწყვიტეთ, ჩავსულიყავით ჭორვილაში და ადგილზე გადაგვემოწმებინა ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არავინ დავობს იმაზე, რომ დღეს საქართველოს ის მართავს. აქედან გამომდინარე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, სრული უფლება გვქონდა მოგვეკითხა, თუ როგორ არის ქვეყნის მმართველი, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოფილმა დეპუტატმა მეგი გოცირიძემ.

მოვლენების განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დედების ორგანიზაციის წევრები საჩხერეში მხოლოდ ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაგებად არ ჩასულან. მათ ივანიშვილის ჭიშკართან „ვენოკი“ და სტაფილო დააწყვეს.

საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ქმედებამ ძალიან გააღიზიანა. მეგი გოცირიძე ამ ქმედებას შემდეგნაირად განმარტავს:

– ივანიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არსებობს. ერთნი ამბობენ, რომ ის კარგად არის, მეორენი ამტკიცებენ, რომ ევროპის ერთ-ერთ კლინიკაშია.

ქოცები ამ თემაზეც კი უაზრო განცხადებებს აკეთებენ. აქედან გამომდინარე, ვერ დავადგინეთ, რა მდგომარეობაშია ივანიშვილი. ჩვენ თან წავიღეთ „ვენოკი“ და სტაფილო. თუ გარდაცვლილი იქნებოდა, „ვენოკი“ უნდა მიგვეტანა, კარგად ყოფნის შემთხვევაში კი მისთვის სტაფილო წავიღეთ. მთელმა საქართველომ იცის, რომ მას ძალიან უყვარს სტაფილოს წვენი.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, რამდენად გამართლებული იყო ცოცხალი ადამიანისთვის „ვენოკის“ მიტანა, ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ მათ არაფერი დაუშავებიათ.

დედების ორგანიზაციის წევრებმა ივანიშვილის შესახებ ბევრი ვერაფერი გაიგეს. დაცვის სამსახურმა მათ უთხრა, რომ ყოფილი პრემიერი ჭორვილაში არ არის.

– როდესაც ჩვენ ჭორვილაში ჩავედით, ყოფილი პრემიერის ეზოს ჭიშკარი ღია იყო, რალაც მანქანა შედიოდა. ჩვენ მოვასწარით ეზოში შეხედვა და დავინახეთ, რომ იქ დაცვა გაძლიერებული არ იყო, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ივანიშვილი იმ მომენტში იქ არ იყო. ეს ყველაფერი ვიდეოზე გადავიღეთ.

მერე ბიძინას დედას, ქალბატონ ციცოს დავუძახეთ. მის ნაცვლად დაცვის თანამშრომელი გამოვიდა. მას გავესაუბრეთ. გვითხრა, რომ ყოფილი პრემიერი იქ არ იყო. მან არც ივანიშვილის ჯანმრთელობის შესახებ იცოდა რამე. ამბობდა, რომ მას ივანიშვილი დიდი ხანია ჭორვილაში არ უნახავს. ეს პასუხებიც ვიდეოზე გვაქვს გადაღებული, – აღნიშნავს დედების ორგანიზაციების წარმომადგენელი.




## რას აცხადებს ყოფილი პრემიერის დაცვა

მოვლენების განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დედების ორგანიზაციის წევრები მხოლოდ პირველი მეოცნების მოსაკითხად არ ყოფილან ჩასული. მათ თან ჰქონდათ გაზეთები. შეხლა-შემოხლა და დაპირისპირება სწორედ ამ გაზეთების დარიგებას მოჰყვა.

გაზეთებში, რომლებიც საჩხერეში დაპირისპირების მიზეზი გახდა, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზეა საუბარი. დედების ორგანიზაციის წევრების განმარტებით, ეს საქმეები შეთითხნილია და „ოცნებამ“ ამ შეთითხნილი საქმეებით ნამდვილი პატრიოტები დააკავა.

მეგი გოცირიძის მტკიცებით, მათ ჭორვილაში ყველამ გამოართვა ეს გაზეთები. ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ ივანიშვილი მის მშობლიურ სოფელშიც კი არავის უყვარს.

– ამ გაზეთის გამორთმევაზე უარი არავის უთქვამს. ჭორვილაში რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ. ყველა მათგანი ივანიშვილს წყევლის. ასეთივე ვითარებაა მთელ საჩხერეში. უკმაყოფილო ადამიანები ჩვენ ვიდეოზეც გადავიღეთ, – გვითხრა გოცირიძემ.

მისი თქმით, დედების ორგანიზაცია ამ ვიდეოს რალაც დროის შემდეგ გაასაჯაროებს. ამ დაგვიანებას გოცირიძე ასე ხსნის:

– ქვეყანაში ჩვეულებრივი დიქტატურაა. ადამიანებს, რომლებიც ივანიშვილის მიმართ პროტესტს გამოხატავენ, შესაძლოა პრობლემები შეექმნათ. ჩვენ მხოლოდ ამიტომ ვიკავებთ თავს ვიდეოს გამოქვეყნებისგან.

„ახალ თაობასთან“ საუბარში გოცირიძე ამბობს, რომ მათ გადაადგილებას თვალს ადევნებდნენ სუსის წარმომადგენლები.

– ჭორვილაში რომ ჩავედით, იქაურობა სუსის თანამშრომლებით დაგვხვდა სავსე. რამდენიმე მანქანა სულ თან დაგვყვებოდა. ისინი აფიქსირებდნენ ჩვენს ყველა ნაბიჯს. მათ დაინახეს, რომ ხალხს ვიწერდით, გადავიღეთ ივანიშვილის კარ-მიდამო. მოგვიანებით ამ მასალის წართმევას შეეცადნენ, მაგრამ არ გაუმართლათ, ჩვენ უფრო მაგრები აღმოვჩნდით, – სიამაყით ამბობს ყოფილი დეპუტატი.

ჭორვილიდან მშვიდობიანად გამოვიდნენ, მაგრამ საჩხერის ბაზართან სერიოზულ შარში აღმოჩნდნენ. პატრულის ჩარევა რომ არა, შესაძლოა, ისინი ეცემათ კიდევაც.

საჩხერის ბაზართან განვითარებულ ბატალიებზე გოცირიძე გვიამბობს:

– გვინდოდა, გაზეთები საჩხერეშიც დაგვერიგებინა. საჩხერის ბაზართან გავჩერდით. ამ დროს რამდენიმე მანქანა შემოვარდა. იქიდან გიჟებივით გადმოხტნენ ვიღაც კაცები. ისინი, სავარაუდოდ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, გვაგინებდნენ და თავების წაცლით გვემუქრებოდნენ, ქალებზე იწევდნენ საცემრად, ჩემი მანქანა ჰაერში ხელებით ასწიეს.

ჩვენ ოთხნი ვიყავით და წინააღმდეგობის გაწევა მაინც მოვახერხეთ. ერთმანეთს ვიცავდით. ამ ჩხუბის დროს პოლიტპატიმარ გიორგი ცააძის დას, ირინა ცააძეს, ტელეფონი წაართვეს. ამ ტელეფონით ვიღებდით ყველაფერს. მათ უნდოდათ, ვიდეო წაეშალათ. დიანა გაბროშვილის აქტიურობა რომ არა, ვიდეოს წაშლიდნენ. დიანამ მათ ტელეფონი წაართვა და ვიდეომასალაც გადავარჩინეთ.

ჩხუბი არც მეგი გოცირიძისთვის დამთავრდა უდანაკარგოდ. მას მანქანის გასაღები მოჰპარეს. ამის გამო დედების ორგანიზაციის წევრები თბილისში დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ.

მოჩხუბრებთან უშედეგოდ გამართული მოლაპარაკებების შემდეგ დედების ორგანიზაციის წევრებმა პატრული გამოიძახეს.

პატრულმა ისინი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც ისინი გამოჰკითხეს. პატრულის ჩარევის შემდეგ მათ მანქანის გასაღები დაუბრუნეს.

– პოლიციის შენობაში გამოკითხვაზე მიგვიყვანეს. იქ ჩვენთვის არავის მიუყენებია შეურაცხყოფა. სამაგიეროდ, ჩვენ ავტეხეთ ერთი ამბავი. ისე ვიჩხუბეთ, გასაღებიც დაგვიბრუნეს და გამოგვაცილეს კიდევაც. საჩხერიდან ოთხმა საპატრულოს ეკიპაჟმა გამოგვაცილა, – ამბობს გოცირიძე.

გავრცელებული ინფორმაციით, დედების ორგანიზაციის წევრები საჩხერიდან ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოაძევა.

ყოფილი დეპუტატი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და ამბობს, რომ მოსახლეობა მათ მიმართ დადებითად იყო განწყობილი.

# დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრები საპატრიარქოსთან აქციის გამართვას აპირებენ



შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძის ოჯახის წევრები დღეს, 19 ივნისს, თბილისში ჩამოსვლას აპირებენ. ისინი მამა გიორგის მცირეწლოვან შვილებთან ერთად მანამდე იდგებიან საპატრიარქოსთან, სანამ მათ პატრიარქი არ მიიღებს.

მსგავსი ლონისძიების გადაწყვეტილება ოჯახმა პატრიარქთან გაუქმებული შეხვედრის შემდეგ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულმა ძალებმა დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრებს უკვე მეორედ ჩაუშალეს შეხვედრა უწმინდესთან.

პირველად შეხვედრა იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ ოჯახს სურდა,



პატრიარქს ადვოკატებთან ერთად შეხვედროდა, საპატრიარქოში კი ამას ეწინააღმდეგებოდნენ.

რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ ოჯახი უწმინდესთან ადვოკატების გარეშე მივიდოდა. შეხვედრა 13 ივნისს ბობოყვათის საპატრიარქოს რეზიდენციაში უნდა შემდგარიყო. იმ მომენტისთვის უწმინდესი იქ ისვენებდა.

როგორც დეკანოზის ძმა თორნიკე მამალაძე ამბობს, შეხვედრა პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაიდო. პატრიარქი რომ თავს კარგად ვერ გრძნობდა, ამის შესახებ მამა დავით ჭინჭარაულმა განაცხადა.

ჩაშლილი შეხვედრა ბევრ კითხვას უჩენს დეკანოზის ადვოკატ მიხეილ რამიშვილს. ის ეჭვობს, რომ მისი სატელეფონო საუბრები ისმინება.

– როცა გადაწყდა, რომ პატრიარქი მამაოს ოჯახთან შეხვედრას აპირებდა, მე დამირეკა თორნიკე მამალაძემ. მან სადღაც 6.30 წუთზე დამირეკა და მითხრა, რომ ასეთი შეხვედრა იქნებოდა და მთხოვა, აჭარაში ჩავსულიყავი.

იმ მომენტში გარდაბანში ვიყავი რალაც შეხვედრაზე და თბილისში წამოვედი. ორთაჭალიდან გადის კარგი ავტობუსები და ის დავჯავშნე. ავ-



ტობუსი ღამის 2 საათზე გადიოდა. 01.30 წუთზე თორნიკე მირეკავს და მეუბნება, რომ შეხვედრა აღარ შედგება. ეს მაფიქრებინებს იმას, რომ ჩვენი საუბრები ისმინება. ვიღაცას ეგონა, რომ შეხვედრაზე შესვლას მეც ვაპირებდი და ამიტომ ჩაშალეს ეს შეხვედრა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში რამიშვილი.

კითხვაზე, თუ რატომ სთხოვა მას თორნიკე მამალაძემ აჭარაში ჩასვლა, ადვოკატი ასე პასუხობს:

– პატრიარქს ბევრი კითხვა ექნებოდა. ოჯახს ყველა კითხვაზე არა აქვს პასუხი. ადვოკატებმა ბევრი რამე ვიცით. თორნიკე ფიქრობდა, რომ შეიძლება პატრიარქს რალაცის გარკვევა მოეთხოვა. ამიტომ უნდოდა, რომ აჭარაში ვყოფილიყავი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეხვედრაზე მივსულიყავი.

მიხეილ რამიშვილის აზრით, ვიღაცას ძალიან ეშინია, რომ პატრიარქი სიმართლეს გაიგებს.

– ზუსტად რისი ეშინიათ, ვერ გეტყვით, ფაქტია, ყველაფერს აკეთებენ, რომ ადვოკატები უწმინდესს არ დაველაპარაკოთ. სიმართლე მახვილივითაა და ყველას აშინებს, – ამბობს ადვოკატი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „ნახევარი საათი გავატარე ამ შენობაში და კინაღამ თავის ტკივილმა მომკლა“

## 56 მილიონის ტენდერების სკანდალი

შორენა მარსაგიშვილი

**„ახალი საქართველოს“ ანტიკორუფციული ბიურო მორიგ სკანდალურ კვლევას აანონსებს. როგორც ბიუროს ხელმძღვანელმა ლევან ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, კვლევა დედაქალაქის მერიის მიერ გაფორმებულ ტენდერებს ეხება.**

**მერიის მიერ გაფორმებულ ტენდერებზე არაერთხელ ატყდა ვნებათაღელვა. ნარმანიას უწყებას ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების გამო საყვედურობდნენ.**

**ამის მიუხედავად, ეს მავნე ტენდენცია დღემდე გრძელდება. ხაბეიშვილის ინფორმაციით, 2016 წლიდან მოყოლებული დღემდე მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა.**

– 2016 წლიდან მოყოლებული დღემდე 56 მილიონის ტენდერია გაფორმებული ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით, რაც ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. მერიის წარმომადგენლები თავს ხშირად იმით იმართლებენ, რომ ხელშეკრულებები ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე გააფორმეს, ოღონდ ვერ გვიხსნიან, რა არის ფორსმაჟორული სიტუაცია. ასეთი ვითარება 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობის გამო შეიქმნა და მაშინ ერთ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებების გამო მერიას ვერავინ უსაყვედურებდა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

მისი თქმით, საინტერესო იქნება იმ ფირმების გამოვლენა, რომლებთანაც მერიამ ხელშეკრულებები გააფორმა.

– ეს ინფორმაცია უკვე გამოთხოვილი გვაქვს. ახლა ზის ჩვენი დიდი მკვლევარი დიმა ბიძინაშვილი და ამ ფირმების შესახებ ყველაფერს არკვევს. ვფიქრობთ, ჩვენს მოსახლეობას საინტერესო კვლევას შევთავაზებთ, – ამბობს „ახალი საქართველოს“ ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარე.

მისი თქმით, ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გაფორმებული ხელშეკრულება სერიოზული დარღვევაა, თუმცა, თითქმის დარწმუნებულია, რომ ამის გამო ნარმანიას ამ ეტაპზე პასუხს არავის მოსთხოვს.

– ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე აუდიტის სამსახურმაც არაერთხელ გააკეთა განცხადება. გავრცელებული ინფორმაციით, ვადის ამოწურვის შემდეგ დავით ნარმანია აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობას დაიკავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საეჭვო ხელშეკრულებების შესწავლა არ მოხდება, – აცხადებს ხაბეიშვილი.

ის ანტიკორუფციული ბიუროს სახელით პირობას დებს, რომ ამ ტენდერებს კარგად შეისწავლიან. ხაბეიშვილი ფიქრობს, რომ ამ საკითხზე თბილისელებმაც უნდა იაქტიურონ.

– თბილისელებს კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რას ნიშნავს ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გაფორმებული ხელშეკრულება. როცა ტენდერი ცხადდება, მასში მონაწილე პირები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ და სხვასთან შედარებით ნაკლებ თანხებს ითხოვენ სამუშაოების შესასრულებლად.

2016 წლიდან დღემდე მერიას 56 მილიონის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ მერიამ ამ 56 მილიონის 20% ხალხს მოჰპარა და ჯიბეში ჩაიდო, – ამბობს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

მერიის გარდა, ის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კონტროლსაც იწყებს. ხაბეიშვილის თქმით, სამინისტრომ მილიონები დახარჯა თეთრიწყაროში დევნილებისთვის საცხოვრებლის მოსაწყობად, სადაც ადამიანების ცხოვრება შეუძლებელია.

– ჩვენ სოციალური ქსელის მეშვეობით მოგვმართეს თეთრიწყაროში, ყოფილ საავადმყოფოში მცხოვრებმა ადამიანებმა და იქ არსებულ გაუსაძლის პირობებზე მოგვაწოდეს ინფორმაცია. სიტუაციის გასაცნობად თეთრიწყაროში 18 ივნისს ჩავედით. ნანახით გაოგნებული დავრჩი. სულ ნახევარი საათი გავატარე შენობაში და კინაღამ თავის ტკივილმა მომკლა. ახლა უკვე კარგად მესმის, რატომ გაიქცნენ აქედან ადამიანები, – ამბობს ხაბეიშვილი.



### რატომ გარბიან დევნილები თეთრიწყაროს დევნილთა საცხოვრებლიდან

მისი თქმით, თეთრიწყაროს საავადმყოფოს ტერიტორიაზე დევნილები 3 წლის წინ შეასახლეს. მანამდე საავადმყოფოს შენობას რემონტი ჩაუტარდა.

– თავიდან აქ 120 ოჯახი შეასახლეს. ფართების გადაცემა საზეიმო ვითარებაში მოხდა. ძალიან მალე ხალხმა იქიდან წასვლა დაიწყო. დღეს იქ მხოლოდ 19 ოჯახია დარჩენილი. ისინი იქ მხოლოდ იმიტომ რჩებიან, რომ სხვაგან წასასვლელი არ აქვთ. როგორც დევნილებმა გვითხრეს, მათ აუტანელ ნესტში უწევთ ცხოვრება. სასუნთქი გზების პრობლემების გამო აქ 7 ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე დღის წინ სასუნთქი გზების დაავადებას 4 თვის ბავშვიც ემსხვერპლა.

როგორც აქ მყოფმა პირებმა მითხრეს, რამდენიმე ადამიანი ტუბერკულოზით დაავადდა. აქ თუ ცხოვრობ, შეუძლებელია, რაიმე არ დაგემართოს. ჩვენ შევამოწმეთ ის პირობები, რომლებშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ და ნანახით გაოგნებული დავრჩით, – აღნიშნავს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი.

მისი თქმით, სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული და თითქმის ყველგან წყალია ჩამოსული.

– ბევრგან იატაკი დამპალია, კედლებზე კი სოკოებია ამოსული. ამ ადამიანებს სხვა წასასვლელი არ აქვთ, თორემ აქ ერთი ღამის გათენებაც კი შეუძლებელია, – აცხადებს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, „ახალი საქართველოს“ ანტიკორუფციული ბიურო აუცილებლად გაარკვევს, თუ რომელმა ფირმამ შეასრულა აქ სამუშაოები და როგორ გაიმარჯვა მან ტენდერში.

ხაბეიშვილის განმარტებითვე, უახლოეს დღეებში მათ დეტალურად ეცოდინებათ, რამდენი მილიონი დაიხარჯა იმ საცხოვრებლის მოსაწყობად, სადაც ადამიანები ავადდებიან და იღუპებიან.

# „უსუფაშვილს ქარიზმა საერთოდ არ აქვს“

## პეტრე მამრაძე: „ჩემთვის სააკაშვილი ყოველთვის პოლიტიკური კლოუნი იყო“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ დავით უსუფაშვილის პოლიტიკურ მოძრაობას „შენებისთვის“ ამ ეტაპზე არ აქვს პერსპექტივა.

**პეტრე მამრაძე:**

– საქართველოში 26 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, პოლიტიკური პარტია ჯერაც არ შექმნილა, 250-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და რეგისტრირებული ჯგუფია, მაგრამ ისინი არ აკმაყოფილებენ პოლიტიკური პარტიის მოთხოვნებს, არ წარმოადგენენ მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფენის არც ეკონომიკურ და არც პოლიტიკურ ინტერესებს. საქმე გვაქვს მხოლოდ მეტ-ნაკლებად ცნობად სახეებთან და ლიდერებთან, რომელთა ირგვლივაც ერთიანდებიან.

***– ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ უსუფაშვილი ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარეა და საკმაო გამოცდილებაც აქვს?***

– რაც შეეხება უსუფაშვილსა და მის წარსულს, სამწუხაროდ, პოლიტიკური ჯგუფის შექმნისთვის მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა აქვს.

***– რა გაგებით?***

– ეს გამოჩნდა კიდევაც. მიუხედავად იმისა, რომ გარდა პარლამენტის თავმჯდომარისა, კიდევ რამდენიმე საკვანძო თანამდებობასა და მინისტრის პორტფელს ფლობდნენ, კატასტროფულად დამარცხდნენ არჩევნებში. პირადად უსუფაშვილმა არ შეასრულა პარლამენტის წევრის ფიცი.

***– რას გულისხმობთ?***

– არ გამოიჩინა ის აუცილებელი პრინციპულობა როგორც ადამიანის უფლებების, ისე ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში, რომელსაც პარლამენტის ფიცი ავალებს დეპუტატს.

***– შეიძლება მისი აზრი და მრწამსი ემთხვეოდა არსებულ ვითარებას და აღარ შეიწუხა თავი.***

– ნებისმიერ მოაზროვნე ადამიანს ესმოდა, რაც ხდებოდა. მაგალითებს მოგიყვანთ. ვთქვათ, მერაბიშვილის უკანონო გაყვანა ციხის საკნიდან. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მერაბიშვილი სიმართლეს ამბობდა.

***– თუმცა, ჯერ არ დამტკიცებულა.***

– სიმართლეს ამბობდა და იმასაც ამბობდა, რომ ვიდეოკამერებმა დააფიქსირა მისი საკნიდან გაყვანა. იმ ვიდეოფირების გაყალბება შეუძლებელია, ისეთი მექანიზმია და ისეა დაპროგრამებული. ყოველი წამი აღბეჭდილია ფირებზე, რომელთა გაყალბება შეუძლებელია.

ხელისუფლებას ის ფირები რომ ეჩვენებინა, კიდევაც გამოჩნდებოდა მტყუან-მართალი. უსუფაშვილის მეუღლემ, ხიდაშელმა, სკანდალურად თქვა, არ არის საჭირო ლაპარაკი, ვაჩვენოთ ყველას ვიდეოჩანაწერები და ყველაფერი გაირკვევაო.

***– ხიდაშელმა აჯობა უსუფაშვილს ანუ ცოლმა აჯობა ქმარს?***

– პირიქით. ეტყობა, იმ საღამოს გაიგეს, რომ ფარცხალაძის ხელის ხლება არ შეიძლება, ვინაიდან ივანიშვილის ახლობელია (ბერას მისი შვილიშვილი ჰყავს მონათლული თუ რაღაც ამის მსგავსი) და მეორე დღეს თავისი სიტყვები უკან წაიღო. შემდეგ გაირკვა, რომ ფარცხალაძე გერმანიაში იყო ნასამართლევი. მაგრამ ესენი ტრიბუნასთან იდგნენ და აცხადებდნენ, ტყუილიაო. დამტკიცდა სამარცხვინო სიმართლე. ანდა საგარეჯოს არჩევნები რად ღირს.

***– ანუ დაღი დაესვათ ამ პოლიტიკურ ფიგურებს და ვერ ჩამოირეცხავენ, რაც უნდა ახალი მოძრაობა წამოიწყონ?***

– არა. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ საქმეებით ვერ გამოიჩინეს თავი და უპრინციპობა ლამის ერთადერთ საქმედ იქცა. გაიხსენეთ, რესპუბლიკელები საპარლამენტო კომისიას რომ ითხოვდნენ, ხოლო შემდეგ ისევ თვითონ თქვეს უარი.

***– თუმცა ლევან ბერძენიძვილმა გააკრიტიკა უსუფაშვილი და ძალიან ულიმღამო პოლიტიკოსად მოიხსენია.***



– გააკრიტიკა პოლიტიკური კატასტროფის შემდეგ. ახლა ერთმანეთს რას დაუძახებენ, თვითონ იციან. ბერძენიშვილის სიტყვები, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებაც კი არ შეიძლება, ვინაიდან სააკაშვილი მსოფლიოში უფრო პოპულარულია, ვიდრე მთლიანად საქართველო, მაგრამ, შემდეგ რომ გაიგო, თურმე საქმე აღძრულია და უფროსობას ასე უნდა, საპირისპიროს გაიძახოდნენ.

***– 30 წელია ასე მოდიან, თან ამბობენ, ძველი პარტია ვართო, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველმა პარტიულობამ არ უშველა.***

– პირიქით. წლების წინ ვთქვი, რომ ბანანების რესპუბლიკა ვართ, მაგრამ ბანანები არ გვაქვს. იმავეს გავიმეორებ ახლა – არა მარტო ასეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა (ობიექტური მიზეზების გამო), არამედ ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც პოლიტიკურ პარტიებსა და მათ პროგრამებს ყურადღებას აღარ აქცევენ.

***– ახლა უსუფაშვილისა და მისი ახალი მოძრაობა „შენებისაგან“ თუ დაინახეთ ახალი კონცეფცია?***

– იმ დონეზე, კომუნისტებს რომ ჰქონდათ „პრავდაში“ საპირველმაისოდ – „ყველაფერი კარგი გავაკეთოთ და ცუდს ნუ გავაკეთებთ“.

***– სათაურიც, „შენებისთვის“, აქედან გამომდინარეა?***

– ამას არაფერს აქვს ფასი.

***– რატომ?***

– საფრანგეთში ყველა პარტია დამარცხდა და გაიმარჯვა პიროვნებამ, რომელიც ამ მომენტისთვის ქარიზმატული აღმოჩნდა. უსუფაშვილს დაღზე უარესი რამ აქვს.

***– რა არის დაღზე უარესი?***

– მას საერთოდ არ აქვს ქარიზმა. ანტიქარიზმა თუ აქვს. გავიხსენოთ, როგორ ხარხარებდა მოსახლეობა, საარჩევნო ლოზუნგი რომ ჰქონდა „გავთავისუფლდეთ“. რისგან უნდა გავთავისუფლდეთო, ამაზე ხარხარებდნენ თბილისში. კლოუნადად აღიქვეს.

***– სახეები, რომლებიც უნდა შემოიკრიბოს თუ შემოიკრიბა უსუფაშვილმა, რამეს გეუბნებათ?***

– არაფერს მეუბნება, გარდა იმისა, რომ განწირულნი არიან, უკეთეს შემთხვევაში, პოლიტიკურ კლუბად დარჩნენ. რესპუბლიკელები წლების წინ მეუბნებოდნენ პირადად მე, რა ვქნათ, თავიდან ვიყავით პოლიტიკური კლუბი და პოლიტიკურ კლუბად დავრჩითო. მაგრამ ყველაზე საინტერესო ახლა მინდა გითხრათ.

***– მიუხედავად ამისა, ყოველთვის ახერხებდნენ უმრავლესობით მოსვლას ხელისუფლებაში სხვა პარტიებთან ერთად.***

– სწორედ ეს უნდა მეთქვა – ასეთ პოლიტიკურ კლუბს, სადაც მეტნაკლებად ცნობადი ადამიანები იყრიან თავს, ზოგ მათგანს ლაპარაკიც ეხერხება და აქვთ შანსი, შეეკრან რომელიღაც პიროვნებას, რომელსაც აქვს შანსი ქარიზმის თვალსაზრისით და მოხვდნენ პარლამენტსა თუ მთავრობაში. ასე იყო, როცა ნაციონალებს შეეკვრნენ რესპუბლიკელები და აღმოჩნდნენ პარლამენტში. შემდეგ დამოუკიდებელი თამაში მოსინჯეს, უსუფაშვილს პრეზიდენტობაც უნდოდა, მაგრამ ჩაფლავდნენ, პრაიმერიში ვერ გაიმარჯვა ლევან გაჩეჩილაძესთან. 2012 წელს მოახერხეს ივანიშვილთან შეკვრა, ცოტა ხნით მისი ნდობის მოპოვება და პარლამენტშიც მოხვდნენ, რამდენიმე საკვანძო თანამდებობა დაიკავეს პარლამენტსა და მთავრობაში.

***– გუნდური თამაში კარგად გამოსდით?***

– არა, მით უმეტეს, სადღა ჰყავთ გუნდი, რესპუბლიკელები 2016 წლის შემდეგ დაიშალნენ.

***– ახლა არც ეროვნულ ფორუმს ეშველება რამე?***

– არც ეროვნულ ფორუმს ეშველება, არც სხვას. საქართველოში არ არის პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების პირობები, შესაბამისად, არც იმის პირობებია, მოსახლეობის ნაწილი მაინც გაეცნოს პროგრამას, გააანალიზოს და პროგრამების მიხედვით მისცეს ხმა პოლიტიკურ პარტიასა და მის ლიდერებს.

***– უპრინციპობაც ხომ არ იწვევს რეიტინგის დაწევას? მაგალითად, ფორუმელებიდან ზოგი ადრე თუ აკრიტიკებდა ნაცმოძრაობასა და რუსთავი-2-ს, ახლა აქებენ და მხარს უჭერენ.***

– ვერ დაგეთანხმებით. სააკაშვილი ყველაზე უპრინციპო იყო, მაგრამ მას ჰქონდა უნარი, როცა საჯაროდ გამოდიოდა, ბევრი ადამიანი მის ნათქვამს იწონებდა და ხმას აძლევდა. ეს არის ქარიზმა.

ტრამპმა 100 დღეში 488-ჯერ თქვა ტყუილი, ფაქტობრივად და დოკუმენტურად, ტრამპის ყველა ტყუილი ამხილეს, მაგრამ რეიტინგი იგივე დარჩა, რადგან სულ სხვაა მისი ზემოქმედება მასების ერთ ნაწილზე.

ჩემთვის სააკაშვილი ყოველთვის პოლიტიკური კლოუნი იყო. სხვათა შო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ანზორ აბრალავა: „განათლების სისტემაში სრული ფიასკო გვაქვს“

მარიამ მჭედლიშვილი



ბოლო დროს ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ მან დემოკრატიულობის კურსს გადაუხვია. ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დემოკრატია მუდმივი პროცესია და საქართველომ დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე სისტემატურად უნდა იზრუნოს.

***– ანტიდემოკრატიულ ნაბიჯად ჩაითვალა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადიდან რადიო „თავისუფლების“ ორი გადაცემის გაუქმების გადაწყვეტილება.***

– დემოკრატიას მუდმივი შრომა სჭირდება, მუდმივად ხელი უნდა გვეჭიროს მაჯაზე, რომ არაფერი შეგვეშალოს. თუ ვინმეს უნდა თავისუფალი სიტყვის მოგუდვა, ეს არ გამოვა. თუ ეს გადაცემები იმიტომ იხურება, რომ განსხვავებული აზრის ჩახშობა უნდათ, ეს საგანგაშოა. ზოგადად, ყველა სტრუქტურაში არიან მოხელეები, რომლებსაც მეტი ძალაუფლების კონცენტრაცია უნდათ. თუ ეს გადაწყვეტილება სტრუქტურულ რეორგანიზაციასა და მოდერნიზაციას უკავშირდება, მაშინ მღელვარების საფუძველი არ ყოფილა. სამწუხარო ის არის, რომ დემოკრატიის შეზღუდვაზე ვაი-უშველებელი აქვთ ატეხილი მარგინალურ სოციალურ ჯგუფებს. ამით ცალმხრივი თავდასხმები ძლიერდება.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ საკითხზე, ისევე, როგორც სხვა პრობლემებზე, აქტიურობს ერთი და იგივე ხალხი. მისი ნაწილი გაერთიანებულია არასამთავრობო ორგანიზაციებში. ზოგადად, არასამთავრობო სექტორს არ ვერჩი. ვგულისხმობ კარგად დაფინანსებულ ჯგუფებს. ისინი გადაიქცნენ ახალ კომკავშირად და კადრების სამჭედლოდ. ეს ადამიანები ვერ იტანენ მათგან განსხვავებულ აზრს და ცალმხრივად ესხმიან თავს ყველასა და ყველაფერს. მათი ისე ეშინიათ, რომ სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავენ. გული მწყდება, რომ ამ ცალმხრივ თავდასხმებზე არანაირი მსჯელობა არ მიმდინარეობს. ამას ემატება კიდევ ერთი სატკივარი – ქვეყანაში ზოგადი განათლების ძალიან დაბალი დონე. ყურადღებას არ ამახვილებენ ჭეშმარიტ პრობლემებზე. ამის მაგივრად ყურადღება გადადის იმაზე, რაზეც ხმაურობს ესა თუ ის მარგინალური ჯგუფი. ნორმალური განათლების გარდა, ხალხისთვის აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.

***– რაზე მეტყველებს 11 ათასზე მეტი ჩაჭრილი მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებზე?***

– ეს საგანგაშო ფაქტია და იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული, რეალისტური პროგრამა უნდა დადოს.

***– განათლების მინისტრი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. იგი ჩაჭრილებს პროფესიული განათლების მიღებას ურჩევს.***

– განათლების სისტემაში რომ სრული ფიასკო და კრახი გვაქვს, ეს ახლანდელი მინისტრის ბრალი არ არის. მისი განცხადებები დაახლოებით ასახავს იმას, რა რეალობაც შეიქმნა ამ სფეროში. სააკაშვილის დროს სკოლების დირექტორებს ლოტოტრონით არჩევდნენ, არაპროფესიონალი მინისტრები კი ერთმანეთზე უარეს გადაწყვეტილებებს იღებდნენ. განათლება, ისევე, როგორც ეკლესია და სამხედრო სფერო, ის კონსერვატიული სეგმენტებია, რომლებიც მუტაციებს ვერ უძლებს. აქ ყველანაირი ექსპერიმენტი არ უნდა ატარო.

***– რა უნდა ქნას ხელისუფლებამ?***

– მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია გააზრებული, სწორი პროგრამით. განათლებას შველა სჭირდება სამი მიმართულებით. ესენია: უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; კარგი პედაგოგები ყველა საფეხურზე და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამები. ამ საკითხებზე ჭკუას არ ეკითხებიან მცოდნე ხალხს. სიტუაცია უარესობისაკენ იცვლება. სხვები, მათ შორის, აკადემიური წრეები, იგნორირებული არიან. ასე თუ გაგრძელდა, ახალგაზრდებს, მათ შორის, ტელეჟურნალისტებს მშობლიური ენა დაავიწყდებათ. უკვე შემოიღეს გამოთქმა „ხეების გადანერგვა“.

***– ე.ი. განათლების სფეროში მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია?***

– სანამ რაიმე ნაბიჯებს გადადგამდეს, განათლების სამინისტრო უნდა დაელაპარაკოს სამეცნიერო წრეებს. პირადად მეც მაქვს ამ თემაზე ჩამოყალიბებული კონცეპტუალური ხედვა და სხვებსაც აქვთ პროგრამები. ინტერვიუ დემოკრატიაზე საუბრით დაიწყეთ. დემოკრატიული მიდგომა იქნება, თუ განათლების პრობლემების გადაჭრაში კომპეტენტურ საზოგადოებას ჩართავენ. ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ და გამოსავალი ერთად უნდა მოვძებნოთ!

# სიმონ ჯანაშია: „არ მესმის, რატომ არ უნდა მიეცეთ ჩაჭრილ მოსწავლეებს გადაბარების შანსი“

ნათია ხურცილავა



განათლების ექსპერტი, პროფესორი სიმონ ჯანაშია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასკოლო განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრობს.

***– ბატონო სიმონ, საატესტატო გამოცდაზე ძალიან ბევრი მოსწავლე ჩაიჭრა. რა არის ამის რეალური მიზეზი? რამდენად იყო მოსალოდნელი, რომ მოვლენები ასე განვითარდებოდა?***

– ეს მაჩვენებელი, რომელიც მივიღეთ, დამოკიდებულია გამოცდების სირთულეზე. გამოცდები უფრო მარტივი რომ ყოფილიყო, ჩაჭრილების რაოდენობა ნაკლები იქნებოდა. გამოცდების სირთულე არ არის ობიექტური საზომი. ეს არის გამოცდების შემქმნელების მიერ დაწესებული ბარიერი, რაც ძალიან პირობითია.

რამდენად აჩვენებს გამოცდები პრობლემებს – ვფიქრობ, რომ საერთოდ არ აჩვენებს. პრობლემებს რეალურად კვლევები წარმოაჩენს, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ტარდება. მოსწავლეების საკმაოდ დიდი ნაწილი სხვადასხვა ასაკში ვერ სძლევს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათ წინაშეა. საუბარი არ არის მხოლოდ ტესტირების მოთხოვნებზე.

***– რამდენად ეთანხმებით პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის იდეას, რომ ჩაჭრილ მოსწავლეებს გადაბარების შანსი მიეცეთ?***

– გადაბარების უფლება აქვთ ერთი წლის შემდეგ, მაგრამ რატომ არ შეიძლება, მანამდე ჰქონდეთ, ეს გაუგებარია. არ არსებობს არანაირი არგუმენტი, თუ რა ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარეობს ეს ერთი წელი. მიზეზი ბიუროკრატიაშია. გამოცდების ცენტრს არ უნდა ხშირად გამოცდის ჩატარება. მოსწავლეს ვეუბნებით, რაღაც შეგეშალა და მისი გამოსწორებისთვის ერთი წელი დაგჭირდება. ეს იგივეა, მართვის მოწმობის აღება გინდოდეს, მაგრამ გადაბარების შესაძლებლობა არ გქონდეს.

***– დღევანდელი განათლების პოლიტიკა რამდენად არის მიმართული ამ პრობლემების დაძლევისაკენ?***

– სახელმწიფოს პოლიტიკა ხელს უწყობს, რომ არსებული პრობლემა კი არ აღმოიფხვრას, არამედ დაიმალოს. როდესაც საატესტატო გამოცდები შემოვიდა, სკოლებს აფასებდნენ წარმატებულ და წარუმატებელ სკოლებად სწორედ ამ გამოცდებზე მიღებული შედეგებით. იმ მონაცემებს, რომლებიც ვნახეთ, ცხადია, საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა.

***– მინისტრი ჯეჯელავა ბარიერის აწევაზე საუბრობს.***

– ჯეჯელავა პასუხობს ამომრჩევლების განწყობებს. ის არის პოლიტიკოსი, დიდი წარმოდგენა არ აქვს განათლებაზე, მაგრამ ის ზრუნავს, რომ რაც შეიძლება მეტი საარჩევნო ხმა მიიღოს იმ პარტიამ, რომელსაც წარმოადგენს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სკოლებში არ არის სწავლების სათანადო ხარისხი, შესაბამისად, ბარიერის დაწევა არ არის პოპულარული ნაბიჯი. ამდენად, პოპულარული მესიჯით პასუხობს ამ განწყობებს ის, რომ სწავლას კიდევ უფრო გაართულებს.

***– რა უნდა გაკეთდეს, რომ სკოლაში განათლების ხარისხი გაიზარდოს, რაზეა ეს დამოკიდებული?***

– კომპლექსური მიდგომაა საჭირო. განათლების შედეგების ხარისხი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: სკოლაზე, მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ზოგადად ქვეყანაში არსებულ იდეოლოგიაზე.

ასევე არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი: თუ მასწავლებელი არ იქნება დაფასებული ქვეყანაში, რასაკვირველია, ამ მიზნის მიღწევა რთული იქნება, ასევე, მოსწავლე უნდა გრძნობდეს, უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მას განათლება დაეხმარება უკეთესი ცხოვრების შექმნაში, პიროვნული წარმატების მიღწევაში და რომ ეს არ არის მხოლოდ მის მოხერხებულობაზე დამოკიდებული, თუმცა, თუ რეალობა რადიკალურად განსხვავებულია, მაგალითად, ოჯახს უჭირს, მოსწავლეს უწევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, უმცროსი და-ძმის მოვლა, თუ მას სკოლაში სიარული არ შეუძლია, ვინაიდან შემოსავლის წყაროს დაკარგავს, ამ შემთხვევაში გასაგებია, რა არჩევანის წინაშე დგას ეს მოსწავლე.

ეს ფაქტორები პირდაპირ ახდენს გავლენას განათლების ხარისხზე. ცხადია, ყველაფერზე კონტროლი ვერ ექნება განათლების სისტემას, მაგრამ არსებობს სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილება, მაგალითად, იმ საჭიროებების ფინანსური კომპენსირება ხდება, რომლებიც მოსწავლეს ხელს უშლის სწავლაში და ა.შ.

***– ბატონო სიმონ, პედაგოგების კვალიფიკაციაზეც მინდა გკითხოთ: რა უნდა გაკეთდეს, რომ პედაგოგი უფრო მოტივირებული იყოს? ასეთი მოსაზრებაც მომისმენია, არ ვიცი, რამდენად რელევანტურია, მაგრამ ერთ ღამეში გაუშვეს პოლიციელები და რატომ არ შეიძლება ნაკლებად კვალიფიციური პედაგოგების ჩანაცვლება?***

– პოლიციაშიც არ არიან დიდი პროფესიონალები. სამწუხაროდ, ამას ვხედავთ, მაგრამ სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ რაც შეიძლება ნაკლები დარღვევით იმუშაოს პოლიციამ. რაც შეეხება მასწავლებელს, აქ განსხვავებულია მიდგომები. აქ უფრო წარმმართველია სუბიექტური მიდგომა, ვიდრე ობიექტური, მაგალითად, კანონი. მასწავლებელი ერთ და ორ თვეში ვერ მოემზადება, როგორც პოლიციელი ემზადებოდა. თუ ქიმიის მასწავლებელმა ქიმია არ იცის, ის ორ თვეში ვერ ისწავლის ქიმიას.

***– ასაკოვანი მასწავლებელი სკოლაში, არ მინდა, ასაკობრივი დისკრიმინაცია გამომივიდეს, მაგრამ რამდენად არის პრობლემა?***

– მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ, შეიძლება ცოდნაც არანაკლები ჰქონდეთ, ვიდრე ახალგაზრდებს, მათი პროფესიული განვითარების ენთუზიაზმი ეცემა, რადგან იციან, რომ რამდენიმე წელიწადში სკოლას დატოვებენ. რატომ რჩებიან ეს ადამიანები სკოლაში? რამდენიმე მიზეზის გამო: პენსია უფრო დაბალია, ვიდრე ხელფასი, ასევე, რეპეტიტორობის ნაკლები შანსი აქვთ, რომელიც დამატებითი შემოსავლის წყაროა და საზოგადოებრივ ფუნქციას კარგავენ.

განათლების პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორ უმტკივნეულოდ გაიყვანონ ეს ადამიანები სისტემიდან. არათუ უმტკივნეულოდ, როგორ გამოადგნენ დამატებით სისტემას.

***– როგორ უნდა მოხდეს ამ რესურსის გამოყენება?***

– უცხოეთში არსებობს პროგრამები, მაგალითად, პენსიონერი მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს დამატებითი გაკვეთილებით ეხმარებიან. განათლებული ხალხი ყველა დროში არის რესურსი, რომლის გამოყენებაც შეიძლება.

***– დღეს საქართველოში მასწავლებლობა არ არის პოპულარული პროფესია. რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, რომ ცოტა ხანში დარგის სპეციალისტების კრიზისის წინაშე არ აღმოვჩნდეთ?***

– დღეს მასწავლებლის პროფესია ვერ იქნება პოპულარული რამდენიმე მიზეზის გამო: ერთი დასაქმების პრობლემაა, მეორე – ანაზღაურების.

იმდენად აბსურდულია განათლების პოლიტიკა, რომ, მაგალითად, ინგლისელ, ინგლისური ენის სერტიფიცირებულ მასწავლებელს ვერ აფორმებენ მასწავლებლად, რადგან სახელმწიფო მას მასწავლებლად არ აღიარებს, მაგრამ აღიარებს იმ მასწავლებელს, რომელიც ინგლისურის გამოცდაზე ორჯერ თუ სამჯერ ჩაიჭრა. ასევე, სკოლას რომ სურდეს, ჩვენი საუკეთესო მეცნიერი მიიწვიოს მასწავლებლად, გაუჭირდება. ასეთია არსებული ბიუროკრატია.

***– რა არის დღეს ზოგადი განათლების მიზანი, როგორი მოქალაქე აღზარდოს სკოლამ?***

– არსებობს შეთანხმება, რომ სკოლადამთავრებულ ადამიანს ჰქონდეს განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის უნარი, შეეძლოს სხვადასხვა ენაზე ურთიერთობის დამყარება, შეეძლოს გარემოსთან ურთიერთობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, იყოს შემოქმედებითი, მაგრამ, სამწუხაროდ, განათლების სისტემა მაინცდამაინც არ არის მიმართული, რომ ეს მიზნები მიღწეული იყოს.

***– იდეალური განათლების სისტემა, თუ არსებობს ასეთი, როგორია, ევროპული, ამერიკული?***

– იდეალურია განათლების სისტემა, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, ცხადია, პიროვნების ინტერესების გათვალისწინებით. არასწორია რაღაცის ბრმად გადმოღება. ჩვენ ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შევქმნათ ის სისტემა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას მოერგება.

# „უსუფაშვილს ქარიზმა საერთოდ არ აქვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რის, ჟვანია ეძახდა სააკაშვილს ასე. როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, მერე გულში ფიქრობდა ასე. ჟვანია შევარდნაძეს ჩემი თანდასწრებით ეუბნებოდა, ჩავატაროთ რეფორმები, დავამარცხოთ კორუფცია, თუ არადა, სააკაშვილი პოლიტიკური კლოუნია და შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდესო. ზოგისთვის სააკაშვილი დღესაც ქარიზმატულია, მიუხედავად იმისა, რას ჩადიოდა წლების განმავლობაში.

***– ანუ უსუფაშვილის პოლიტიკური პარტია არც არაფერს შესძენს პოლიტიკურ სპექტრს, არც არაფერს დააკლებს და ვერ შეცვლის პოლიტიკურ ამინდს?***

– პრაქტიკულად – არა, ამ ეტაპზე – არა, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება იმის გამორიცხვა, როდესაც ვითარება შეიცვლება საქართველოში, შეიძლება გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც მხარში დაიყენებს უსუფაშვილისა და რომელიმე სხვა პარტიასაც. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ კოალიცია „ოცნებაში“ იყვნენ ადამიანები, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერასოდეს შეთანხმდებოდნენ, ვინაიდან ერთმანეთს კონკურენტებად მიიჩნევდნენ, მაგრამ, როცა გამოჩნდა ივანიშვილი და ხელისუფლებაში მოსვლის შანსი გაჩნდა, შეთანხმდნენ.

***– ადგილობრივ არჩევნებზე არაფერი შეიცვლება, თუმცა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება მოხდეს ცვლილებები?***



– დიახ. ოთხ წელიწადში „ოცნებას“ შეიძლება გაუჭირდეს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური გაჭირვების გამო საქართველოში დაიწყება აქტიური, საერთო-სახალხო დუღილი „ოცნების“ წინააღმდეგ. მაშინ შეიძლება გამოჩნდეს ახალი ქარიზმატული ლიდერი, თუმცა ივანიშვილს რჩება რესურსი – გამოცვალოს გუნდი.

# „2020 წლიდან ხელისუფლებას კახა კალაძე გადაიბარებს“

## კახა კუკავა: „ივანიშვილი უშვებს იმ შეცდომას, რომელიც პატარკაციშვილმა დაუშვა“

ნონა ცაბაძე

ვენეციის კომისიის დასკვნაზე, პარლამენტის თავმჯდომარის შესაძლო გადადგომაზე, „ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებასა და კალაძის სამომავლო გეგმებზე „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.

***– ბატონო კახა, დღეს ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა უნდა გახდეს ცნობილი. უმრავლესობის ლიდერები აცხადებენ, რომ დასკვნა ნორმალური და მათთვის მისაღებია. რამდენად იქნება გათვალისწინებული შენიშვნები?***

– ვენეციის კომისიის დასკვნა არის ნეგატიური. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ პრესრელიზი, სადაც საუბარია იმაზე, რომ კონსტიტუცია მიღებულ უნდა იქნეს კონსენსუსით. ეს არის ის, რასაც ზუსტად 6 თვეა იმეორებს ოპოზიცია და ვერ შეაგნებინა ხელისუფლებას.

***– შენიშვნების შესახებ რას იტყვით?***

– რაც შეეხება შენიშვნებს, ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით დღეს გამოქვეყნდება. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იქნება იგივე შენიშვნები, რომლებიც იყო წინა დოკუმენტში. ამ დოკუმენტში გაკრიტიკებული იყო პრეზიდენტის საარჩევნო სისტემაც, პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი ცვლილებები. საბოლოო ჯამში, არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ცოტა კომიკურ ელფერსაც აძლევს ამ ყველაფერს.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ჩვენ არ ვიცით საქართველოს კონსტიტუციის პროექტის ვარიანტი, რომელიც ამჟამად არის განხილვაში. ვინაიდან ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის დაეთანხმება ზოგიერთ შენიშვნას. ეს შენიშვნები არის მრავალრიცხოვანი.

ირაკლი კობახიძემ კომიტეტის სხდომაზე წარმოადგინა კონსტიტუციის პროექტი ზეპირად. ასეთი რამ ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში არ მომხდარა მსოფლიო პარლამენტების ისტორიაში ანუ დაწერილი კონსტიტუციის ტექსტი ჩვენ არ ვიცით, მათ შორის პრინციპების დონეზეც კი, რადგან დღემდე გრძელდება ინსიუნაციები პარლამენტის უმრავლესობაში, იქნება საარჩევნო სისტემა პროპორციული თუ მაჟორიტარული. ამ პროექტის განხილვა კი მიმდინარეობს პროცედურების უხეში დარღვევით.

***– კობახიძე აცხადებს, პროპორციულ სისტემაზე შესაძლოა გარკვეული ვადის შემდეგ გადავიდეთო. თუმცა კობახიძე თავის დროზე აცხადებდა, რომ გადადგებოდა, თუკი პროპორციულ სისტემაზე არ გადავიდოდნენ. რა შეიცვალა?***

– კობახიძის გადადგომას აქვს სხვა მიზეზი. კობახიძემ აიღო ვალდებულებები ბიძინა ივანიშვილის წინაშე, რომელთა შესრულებაც არის შეუძლებელი. პროცესის დასაწყისში ანუ შარშან მან აიღო ვალდებულება ბიძინა ივანიშვილის წინაშე, რომ კონსტიტუცია მიღებული იქნებოდა ზედმეტი ხმაურის გარეშე და იქნებოდა დადებითი დასკვნები ვენეციის კომისიისგან. ეს კონსტიტუციის პროექტი უქადის ქვეყანას როგორც მზარდ საერთაშორისო კრიტიკას, ასევე შემოდგომა მოდის და შესაძლოა ამან გამოიწვიოს საპროტესტო აქციები.

***– ანუ კობახიძეს გადადგომა მოუწევს?***

– კობახიძის გადადგომა დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს პროცესი აღმოჩნდა წარუმატებელი. კონსტიტუციის პროექტისგან ეს ხელისუფლება რაიმე პოზიტივს ვერ მიიღებს, ნეგატივს კი მიიღებს ძალიან ბევრს. იქნება სამოქალაქო დაპირისპირება და მეორე საერთაშორისო იზოლაცია!

***– ხელისუფლებაში სერიოზული დაპირისპირებაა, მაჟორიტარები აუჯანყდნენ, ამიტომ დაიხიეს უკან და ტოვებენ ძველ საარჩევნო სისტემას. ასეა?***

– ჩვენ გვახსოვს ამ ტიპის დისკუსიები როგორც ამ, ისე წინა სახელისუფლებო გუნდში და პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ არანაირი მაჟორიტარების პროტესტი რეალურად არ არსებობს.

***– ეს როგორ? გამოგონილი სცენარია?***

– მაჟორიტარები არიან ბიზნესმენები და ისინი არიან უფრო მორჩილი დეპუტატები, ვიდრე სხვები. აქედან გამომდინარე, ის, რომ მაჟორიტარები რაიმეზე პროტესტს აცხადებენ, ძალიან სასაცილოა. საუბარია სპექტაკლზე. ეს სპექტაკლი გულისხმობს იმას, რომ თუ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა იმავე ვენეციის კომისიის დასკვნების გათვალისწინებით ბონუსების ისეთი ვარიანტის მიღება, რომელიც მას აწყობს, ის აპირებს დააშანტაჟოს ოპოზიცია მაჟორიტარული სისტემით. ეს არის ზუსტად ის სცენარი, რომელიც 2008 წელს იქნა განხორციელებული ნაციონალური მოძრაობის მიერ. ეს არის სპექტაკლი, რომელიც დადგმულია ივანიშვილის რეზიდენციაში და მას ჩვენ სერიოზულად არ უნდა მოვეკიდოთ.

***– რას იზამს „ოცნება“, გადააბიჯებს ვენეციის კომისიის შენიშვნებს, არ გაითვალისწინებს მის დასკვნას და, თუ ასე მოხდა, რას მიიღებს ამ შემთხვევაში?***

– ცენტრალური კითხვა დასვით. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ 2020 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს საპარლამენტო უმრავლესობა. დიქტატორებს არ სჯერათ, რომ ისინი სამარადჟამოები ვერ იქნებიან. ყველა დიქტატურას აქვს თავისი დასასრული!

თანამედროვე დეკოლონიალურ სისტემაში არის ასეთი წესი, რომელიც დაამკვიდრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად, რომ პატარა ქვეყნის ავტოკრატი მმართველები შეიძლება მოვიდნენ ხელისუფლებაში ორი ვადით. ამ ორი ვადის პერიოდში ისეთ გარდამავალ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, საერთაშორისო საზოგადოება არ აქცევს დიდ ყურადღებას, იქნება თუ არა დემოკრატია, კორუფცია და ასე შემდეგ, მაგრამ ორი ვადის შემდეგ ეს ხელისუფლებები უნდა წავიდნენ და გამოიცვალონ. რაც უნდა მილიარდები ხარჯოს, რაც უნდა კონსტიტუციები კეროს, მოცემულობა არის ასეთი, არაფერი შეიცვლება, 2020 წელს ეს ხელისუფლება დასრულდება და დასრულდება სრულად.

***– რა ალტერნატივა აქვს ივანიშვილს?***

– ეს ხელისუფლება დასრულდება სრულად, ყველა ბერკეტის ჩაბარებით! ალტერნატივა იმაში კი არ არის, ივანიშვილი შეძლებს თუ არა სახელისუფლებო ბერკეტის შენარჩუნებას, არა, ეს გარკვეულია. ალტერნატივა არის იმაში, იქნება ეს პროცესი მტკივნეული თუ უმტკივნეულო. ეს დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, თუ ისინი ნებით, დემოკრატიული არჩევნების გზით, რეპრესიების გარეშე გადასცემენ ხელისუფლებას, შესაბამისად, მათ მიმართ კარგი დამოკიდებულება იქნება, ხოლო თუ...

***– თუ არ ემზადება „ოცნება“ ამისთვის?***

– მაშინ მეორე ალტერნატივა არის ის, რომ ხელისუფლების შენარჩუნების რესურსი „ოცნებას“ არ აქვს, იმიტომ, რომ ივანიშვილის 8 მილიარდი და ჩემი 500 ლარი, მსოფლიო მასშტაბით, ერთი და იგივე სიდიდეა. არც 500 ლარი წარმოადგენს არაფერს გლობალური მოთამაშეებისთვის და არც 8 მილიარდი. ორივე გროშებია. ამ ადამიანს კი ეს არ ესმის.

ივანიშვილს არ ესმის, რომ 2020 წელს ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს, იმიტომ, რომ ეს არის წესი, რომელიც დაადგინა მსოფლიოს უძლიერესმა ზესახელმწიფომ. თუ ის ამას წინააღმდეგობას გაუწევს, რაც ხდება ახლა ვენეციის კომისიის კონტექსტში, ეს გაისადაც გაგრძელდება და შემდეგ წლებშიც, მას მოექცევიან ისე, როგორც ექცევიან იმ ლიდერებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ შეერთებული შტატების ნებას. საქართველოში მოვლენები განვითარდება ზუსტად იმ სცენარით, როგორც განვითარდა 2003 და 2012 წლებში.

***– სერიოზულ პროტესტს ელოდებით?***

– ეს ხელისუფლება ბოლომდე შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას, რასაც მოჰყვება იგივე სცენარი. ჯერ გეუბნება ვენეციის კომისია, მერე ევროპის საბჭო, მერე გეუბნება ევროპის პარლამენტი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. თუ ვერცერთს ვერ გაიგებ, მერე ჩამოვა რომელიმე პოლკოვნიკი და ყველაფერი დატრიალდება იმ სცენარით, რომელიც არაერთხელ გვაქვს ნანახი. ამ სცენარს კი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს საქართველოს ტიპის ქვეყანა და არც უნდა გაუწიოს. გამოსავალი არის ერთადერთი – ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა.

***– ხედავთ დღეს ქართულ პოლიტიკაში გამოკვეთილ ძალას? ვინ შეიძლება შეცვალოს ივანიშვილის ხელისუფლება?***

– საინტერესო კითხვაა. ამ ეტაპზე ერთ ვარაუდს გამოვთქვამდი, ეს შეიძლება იყოს კახი კალაძე.

***– კალაძე?***

– დიახ. თუ კახი კალაძე დასახელდა თბილისის მერობის კანდიდატად, რაშიც დარწმუნებული არ ვარ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია 90% ალბათობით ვთქვათ, რომ ის არის საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი.



***– რატომ?***

– იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ეს ადამიანი არის ერთადერთი მმართველ გუნდში, რომელიც აკეთებს ღია, საჯარო განცხადებებს, რომლებიც დისტანცირებულია ხელისუფლებისგან.

მეორეც, ყველა ხვდებით, რომ თბილისის მერი ამ კონსტიტუციურ მოწყობაში, რომელიც „ოცნებამ“ თვითონ გააკეთა, ერთადერთი პოლიტიკური თანამდებობაა მთელ ქვეყანაში. პრეზიდენტს ფუნქციები აღარ ექნება, პრემიერ-მინისტრი არჩევითი არ არის და მარიონეტია, რომელსაც როცა უნდათ, ხსნიან და როცა უნდათ, ნიშნავენ. ქვეყანაში ყველაზე ლეგიტიმური თანამდებობა არის თბილისის მერი, რომელსაც ჰყავს თბილისში ათასობით დასაქმებული შტატი, რომელსაც აქვს 800-მილიონიანი ბიუჯეტი და უზარმაზარი პოლიტიკური ლეგიტიმაცია.

***– აქვს ამის ბერკეტი კალაძეს, რომ ახალი პოლიტიკური თამაში წამოიწყოს?***

– ის ქმნის. ჯერჯერობით მას არ ჰყავს ეს გუნდი, მაგრამ ეს მოგვარებადი პრობლემაა. 2018-2019 წლებში ის დატოვებს მმართველ პარტიას და მის ირგვლივ შეიქმნება ახალი პოლიტიკური გუნდი მათ შორის არსებული პოლიტიკური სპექტრისგან.

***– ანუ 2020 წლისთვის ხელისუფლებას კახი კალაძე გადაიბარებს?***

– თუ ის დააყენეს თბილისის მერის კანდიდატად. დღეს აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ამ საკითხზე მმართველ გუნდში. ამ ეტაპზე მისი კანდიდატად გამოცხადება გადაიდო. ყველამ იცის, რომ კალაძე იქნება, მაგრამ ამას არ აცხადებენ. თუ კალაძე იქნება მერობის კანდიდატი, ყველაზე მაღალი ალბათობით, ის იქნება შემდეგი ხელისუფალი.

***– ივანიშვილი მას გადააბარებს ქვეყნის მართვის ბერკეტებს?***

– არა, ეს არ იქნება გადაბარება. კალაძე წავა სააკაშვილის გზით. ის დატოვებს მმართველ პარტიას, გააერთიანებს ოპოზიციურ კოალიციას და 2020-ში მოუგებს არჩევნებს ივანიშვილს. ეს ძალიან ჰგავს სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობას და შემდეგ დაწყებულ კამპანიას. კალაძეს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები აქვს, მაგრამ, რომც არ ჰქონდეს ეს ამბიცია, ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში თბილისის მერი არის ისეთი თანამდებობა, რომ პირდაპირ უბიძგებს ადამიანს ამისკენ.

***– ნარმანიაზე რომ ამას ვერ ვიტყვით?***

– ნარმანიას არ ჰქონდა პოლიტიკური ამბიციები, თანაც აქ მნიშვნელოვანია, რომ კალაძე კენჭს იყრის იმ არჩევნებზე, რომელიც წინ უძღვის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, თანაც ეს არის მეორე ვადა. პირველი ვადაში გარესამყარო არ ერევა – ძარცვე, დაარბიე, დაიმონე, რაც გინდა, გააკეთე, არავინ არაფერს გეუბნება. მეორე ვადის ამოწურვის შემდეგ კი უნდა წახვიდე! კალაძეც ხვდება, რომ ასეა სწორედ – ახლა დაიწყება ეს მოძრაობა. დასრულდება ადგილობრივი არჩევნები და ვნახავთ, როგორ გააქტიურდებიან, როგორ დატოვებენ მმართველ გუნდს და დაუპირისპირდებიან ივანიშვილს.

***– წავა ივანიშვილი ამხელა რისკზე და დაუშვებს კალაძის მერობას?***

– მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი ნამდვილად არ არის სულელი და ფიქრობს ამის შესახებ, ივანიშვილის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ზედმეტად თავდაჯერებულია. როგორც მეუბნებიან, ის დარწმუნებულია, რომ კალაძე ვერ გაბედავს ივანიშვილთან დაპირისპირებას და, თუ გაბედავს, ბიძინა თავისი ფინანსური კაპიტალით გაანეიტრალებს. შეიძლება ცოტა უხერხული იყოს, მაგრამ ეს ძალიან ზუსტი შეფასებაა. ის, რაც ემართება ივანიშვილს, ერთხელ უკვე დაემართა ბადრი პატარკაციშვილს.

***– რას გულისხმობთ?***

– ბადრი პატარკაციშვილი იყო ბიზნესმენი, იყო ელიტარულ ლიგაში, იყო მილიარდერი და მსოფლიოს მილიარდერთა ელიტაში შედიოდა. ფოქს ტივი ჩამოიყვანა საქართველოში, ბუშის ძმასთან ერთად სადილობდა, მოკლედ, გვახსოვს მისი სანაცნობო წრე და როგორც ბიზნესმენი, ის იყო როგორც თევზი წყალში, ხოლო როგორც კი გადავიდა პოლიტიკაში, გახდა აუტსაიდერი. თუ ბიზნესმენისთვის 12 მილიარდი არის დიდი კაპიტალი, პოლიტიკოსისთვის არის ძალიან ცოტა. გვახსოვს მისი ტრაგიკული აღსასრულიც.

ჩემი აზრით, ივანიშვილიც უშვებს ამ შეცდომას. ივანიშვილმა თავისი კაპიტალით შეიძლება ტელევიზიები იყიდოს და ოპოზიცია მოქრთამოს, მაგრამ ეს კაპიტალი ძალიან უმწეოა იმისთვის, რომ დაუპირისპირდე გლობალურ მოთამაშეებს. ვინც წავა ამ ნების წინააღმდეგ, როგორც გასრისეს ბადრი, ისე გასრესენ ნებისმიერ სხვასაც.

# სუს-ისა და შსს-ს დანაყოფებმა პირველი ერთობლივი წვრთნა ჩაატარეს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებების სტრუქტურულმა დანაყოფებმა ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივი წვრთნა გამართეს.

ღონისძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

წვრთნის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტროლის გაუმჯობესება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა, ასევე სუს-ისა და შსს-ს შესაბამის დანაყოფებს შორის კოორდინაციის, შტაბების მუშაობისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლება.

წვრთნაში მონაწილეობდნენ: სუს-ის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის განაღმვისა და კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოები, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო.

ღონისძიების დასასრულს, სტუმრებისთვის სპეცტექნიკის, იარაღისა და სხვადასხვა სახის აღჭურვილობის გამოფენა მოეწყო.

# რა შემთხვევაში არ ვიხდით საშემოსავლო გადასახადს?

საშემოსავლო გადასახადს ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველა იხდის. ეს არის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ადამიანს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეხსნება. ამ საკითხს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლი აწესრიგებს. რა შემთხვევაში თავისუფლდება ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადისგან? – ამ შეკითხვაზე ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვიპასუხებს:

– ზოგადი წესის მიხედვით, ფიზიკური პირის შემოსავალი 20 პროცენტით იბეგრება, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა კანონმდებლობა ამცირებს, ან სულაც ათავისუფლებს ფიზიკურ პირს ამ თანხისგან. ასეთი შემთხვევაა საცხოვრებელი ბინის გაქირავება: თუ ადამიანი გააქირავებს ფართს და ამის შესახებ საგადასახადო ორგანოს აცნობებს, მისი შემოსავალი მხოლოდ 5%-ით დაიბეგრება, ხოლო თუ კომერციულ ფართს გააქირავებს, ეს შეღავათი აღარ შეეხება და უკვე 20 პროცენტით დაიბეგრება.

***– ბატონო ირაკლი, ძალიან ბევრს აინტერესებს, როგორ იბეგრება უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციისგან მიღებული მოგება.***

– დავუშვათ, ადამიანმა შეიძინა საცხოვრებელი სახლი 2017 წლის 20 მაისს და გადაიხადა 50 ათასი ლარი. თუ ამ სახლს ის ორი წლის შემდეგ გაასხვისებს, მაშინ საშემოსავლოს გადახდა აღარ მოუწევს, მაგრამ თუ ორი წლის გასვლამდე გაყიდის დავუშვათ, 60 ათას ლარად, მის მიერ მიღებული ნამატი ანუ 10 ათასი ლარი 5%-ით დაიბეგრება. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, კერძოდ, ავტომანქანას, მისი გაყიდვის შედეგად მიღებული ნამატიც 5%-ით იბეგრება, თუ ფიზიკური პირი მას შეძენიდან 6 თვის განმავლობაში გაყიდის.



***– რაც შეეხება ხელფასს, ამ შემთხვევაში რა შეღავათები არსებობს?***

– საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება პირი, რომლის წლიური შემოსავალი ხელფასის სახით, 3 ათას ლარს არ აღემატება. თუ თქვენი ხელფასი თვეში 200, ან 220 ლარია, თქვენ ამ გადასახადს აღარ გადაიხდით, მაგრამ თუ ხელფასი 3 ათას ლარზე მეტი გაქვთ, ჩვეულებრივად უნდა გადაიხადოთ ხელფასის 20 პროცენტი. ამ მხრივ ჩვენი კანონმდებლობა შესაცვლელია, რადგან უსამართლობაა, როცა ერთნაირად იბეგრება ის, ვისი ხელფასი 4-5 ათასი ლარია და ისიც, ვისი ხელფასი 300-400 ლარია. განვითარებულ ქვეყნებში ეს სხვაობა კარგად არის გამიჯნული.

***– საინტერესოა, მეწარმეებზე რა შეღავათები ვრცელდება?***

– ძირითადი შეღავათები მიკრობიზნესის წარმომადგენლებზე ვრცელდება. საგადასახადო კანონმდებლობა ადამიანს მიკრომეწარმის სტატუსს მაშინ ანიჭებს, თუ ის არ იყენებს დაქირავებულ შრომას და მისი წლიური

შემოსავალი 30.000 ლარს არ აღემატება. ამ შემთხვევაში ის მთლიანად არის გათავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისგან, ოღონდ, უნდა მივიდეს საგადასახადო ორგანოში და დარეგისტრირდეს, როგორც მიკრობიზნესის წარმომადგენელი. მიკრობიზნესის მსგავსად, არ იბეგრება საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ ის არ აღემატება 200.000 ლარს. მაგალითად, თუ ფიზიკურმა პირმა მოიყვანა სიმინდი, ან თხილი, თვითონვე გაყიდა და მის მიერ მიღებული ნამატი არ აღემატება 200.000 ლარს, ის არ დაიბეგრება, მაგრამ თუ ე.წ. გადამყიდველმა შეიძინა გლეხის მიერ მოწეული მოსავალი და გაყიდა, მისი მოგება ჩვეულებრივად უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით: თუ იყიდა 1 ლარად და გაყიდა 1,20 ლარად, სწორედ ეს 20 თეთრი ანუ ნამატი უნდა დაიბეგროს.

***– კიდევ რა კატეგორიის ხალხი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს?***

– ამ გადასახადისგან სრულიად თავისუფლდებიან დონორები, რომლებიც სისხლს გასცემენ, რადგან სისხლის გაყიდვის საფასური არ იბეგრება. ასევე არ იბეგრება ლატარიაში მოგებული თანხა, თუ ის არ აღემატება 1000 ლარს. არ იბეგრება ალიმენტიც – არც მისი მიმღები იხდის საშემოსავლოს და არც – გამცემი. შეიძლება ყველამ არ იცის, რომ არ იბეგრება განქორწინების შედეგად მიღებული შემოსავალიც: თუ ქონება გაიყო და მეუღლეს მიეკუთვნა რაღაც წილი ამ ქონებიდან, ის არ დაიბეგრება.

***– საინტერესოა, მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი თუ იბეგრება?***

– ადვოკატებს ამ კითხვას ძალიან ხშირად გვისვამენ და მისი პასუხი ასეთია: პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით, ან მემკვიდრეობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრება. შეგახსენებთ, რომ პირველი რიგის მემკვიდრეები არიან: მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილთაშვილი და მისი შვილი, ასევე – მშობელი და მშვილებელი. მეორე რიგის მემკვიდრეები კი არიან: და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები. თუ მესამე, ან მეოთხე რიგის მემკვიდრეები ჩუქებით, ან მემკვიდრეობით მიიღებენ ქონებას, რომლის ღირებულებაც 150 ათას ლარს არ აღემატება, არც ეს ქონება დაიბეგრება. მესამე რიგის მემკვიდრეები არიან ბებია, პაპა და მათი დედ-მამა, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, ხოლო მეოთხე რიგისა – ბიძა, დეიდა და მამიდა.

**ბი-პი-ენი**

# ჯანი ბუკიკიო: „საგადასახადო სისტემის რეფერენდუმზე გატანას არ ვეთანხმები“

ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო რეფერენდუმზე გადასახადების შესახებ საკითხის გატანას არ ეთანხმება.

ბუკიკიოს განმარტებით, ცხადია, რომ ადამიანებს დაბალი გადასახადების გადახდა ურჩევნიათ და, თუ ხალხს შეეკითხები, ის წინააღმდეგი იქნება.

ამიტომ, ბუკიკიოს აზრით, გადასახადების საკითხი მთავრობამ და პარლამენტმა უნდა გადაწყვიტონ.

– საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვანია. შეუძლებელია ქვეყანაში კარგი ინფრასტრუქტურა და კარგი სოციალური პაკეტები გქონდეს იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვს ფული.




საიდან მოდის ფული? გადასახადებიდან. რა თქმა უნდა, ყველას უნდა უფრო ცოტა გადასახადის გადახდა და თუ ჩვენ შევეკითხებით ხალხს, ალბათ, უმეტესობა წინააღმდეგი იქნება. მაგრამ ამავდროულად, მთავრობას სჭირდება ფული, რომ საზოგადოებას მისთვის აუცილებელი სერვისები შესთავაზოს. სწორედ ამიტომ, ახალი საგადასახადო სისტემის რეფერენდუმზე გატანას არ ვეთანხმები.

– გადასახადების საკითხი უნდა გადაწყვიტოს მთავრობამ და პარლამენტმა, – აღნიშნა ბუკიკიომ, რომლის განცხადების თარგმანს საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

**მედიანიუსი**

# ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩავარდა

ოკუპირებული აფხაზეთის გზებზე ავტომობილების ნაკადის ნაკლებობა შეინიშნება. აფხაზეთისთვის ზაფხულის სეზონში ასეთი სურათი იშვიათობაა.

ამის შესახებ რუსული მედია წერს.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ შექმნილი ვითარება სრულიად კანონზომიერია, რადგან ჯერ კიდევ ზამთრის სეზონში, აფხაზეთში სასტუმროებსა და ოჯახური ტიპის სასტუმროებზე ფასები 20%-ით გაზარდეს.

– რუსი ტურისტი, რომელიც დასვენებაზე ფიქრს ზამთრის სეზონიდან ფიქრობს, ალტერნატივის სახით განიხილავდა ყირიმის, კრასნოდარის მხარეს, თურქეთს, ბულგარეთს და აფხაზეთს. თუმცა, დაწესებულმა ფასებმა რუსი ტურისტები აიძულა, სხვა მიმართულება აერჩიათ, რადგან ფასები შემოთავაზებულ სერვისს არ შეესაბამება. თავად, წყაროები აფხაზეთიდანაც ადასტურებენ, რომ ივნისის პირველი კვირები ჩავარდნილია, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ფასები დაწეულია. რუსმა ტურისტებმა არდადეგები ზამთარში დაგეგმეს, სასტუმროები დაჯავშნეს და ბილეთებიც შეიძინეს, – აღნიშნავს სტატიის ავტორი.

გამოცემა ხაზს უსვამს, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთში სასტუმროების ჯავშანმა, 2016 წელთან შედარებით, 30-80%-ით იკლო.

**მედიანიუსი**

# ტოპ-10 ქალაქი საცხოვრებლად, სადაც პენსიაზე ნაადრევად გასვლაა შესაძლებელი



65 წლამდე პენსიაზე გასვლა ბევრი ადამიანის ოცნებაა. ამის შესაძლებლობას კი რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, როგორიცაა: ხელფასი; დანაზოგი და ცხოვრების ღირებულება.

იმის დასადგენად, თუ რომელი ქალაქებია ამერიკაში საცხოვრებლად საუკეთესო, სადაც მოქალაქეებს პენსიაზე ადრე გასვლა შეეძლებათ, აგნიფყ ონეყ-მ აშშ-ის 217 ქალაქი შეისწავლა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსიაზე გასასვლელად საუკეთესო 10 ქალაქი ასე გამოიყურება:

10 – მაკალენი (ტეხასი)
9 – ევანსვილი (ინდიანა)
8 – ჰატისბერგი (მისისიპი)
7 – კლევლენდი (ტენესი)
6 – ჯონსბორო (არკანზასი)
5 – უიჩიტა-ფოლზი (ტეხასი)
4 – ენ-არბორი (მიჩიგანი)
3 – შერმანი (ტეხასი)
2 – მემფისი (ტენესი)
1 – ნოქსვილი (ტენესი)

**ბი-პი-ენი**

# „ვითიბი ბანკს“ ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქართულ საბანკო სფეროში მორიგი ხმაურიანი გათავისუფლებისა და შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოში დაწყებული დავის შესახებ განცხადებას ავრცელებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო საქმე, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან“ ცენტრალური ფილიალის საოპერაციო განყოფილების ანგარიშების მენეჯერ თამარ მ.-ს გათავისუფლებას.




საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მენეჯერის გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი გახდა ბანკის კონკრეტული თანამშრომლებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან არაერთგზის გამოხატული დამამცირებელი, ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა რასაც საფუძვლად ედო მოსარჩელის სოციალური კუთვნილება.

ბანკმა არ მოახდინა მენეჯერის არცერთ წერილობით მიმართვაზე რეაგირება. მოკვლევის გარეშე დარჩა დისკრიმინაციის ფაქტები. სასამართლოში წარდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ ბანკის კონკრეტული პირების უფლებამოსილების გადაჭარბებას. ორგანიზაცია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს აღნიშნული პირების მოწმის სახით დაკითხვას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციით, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ბოლო ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 1-ელ მარტს და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 28 თებერვალი. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება ითვლებოდა უვადოდ დადებულ კონტრაქტად, ბანკმა მხარეს 2015 წლის 25 თებერვალს სამუშაო ელექტრონულ ფოსტაზე აცნობა, რომ ბანკი შრომით ურთიერთობას მასთან 2015 წლის 1-ლი მარტიდან აღარ გააგრძელებდა. ფორმალურ მიზეზად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა დასახელდა. იმ ფონზე, როცა ყველა დასაქმებულთან ხელშეკრულება გაგრძელდა, მოსარჩელე არ დაეთანხმა ბანკის იურიდიულ არგუმენტაციას და მოითხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება, შესაბამისს უფლებამოსილ პირებთან შეხვედრა და საკითხში გარკვევა. ბანკმა 2015 წლის 1-ლი მარტიდან თამარ მ. სამუშაო სივრცეში აღარ დაუშვა.

მან მოითხოვა გათავისუფლების ბრძანება და აღნიშნა, რომ დარღვეულ უფლებებს სასამართლო წესით დაიცავდა, თუმცა ბანკმა თანამშრომლის პირადი საქმიდან ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ყოველგვარი განმარტების გარეშე, არ გასცა. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანება თამარ მ.-მ ადვოკატის დახმარებით, მხოლოდ 2017 წლის 27 თებერვალს მიიღო. ბრძანება გათავისუფლების შესახებ დათარიღებულია 2015 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, როცა ბანკმა მხარეს 24 თებერვალს შეატყობინა მოსალოდნელი გათავისუფლება 2015 წლის 1 მარტიდან, თუმცა არ შეატყობინა, რომ ბანკს მისი გათავისუფლების თაობაზე ბრძანება უკვე მიღებული ჰქონდა. ბანკს აღნიშნული ვალდებულება გააჩნდა შინაგანაწესის თანახმად. ბანკმა პირი ჯერ გაათავისუფლა, ხოლო შემდგომ შეატყობინა შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციის ფაქტზე, რაც სარჩელი დეტალურადაა განხილული. ამასთან, ბანკი 2017 წლის 5 აპრილიდან მიზანმიმართულად არ რეაგირებს ხმაურიანი გათავისუფლების შედეგად, დასაქმებულთან დაკავშირებული სამსახურეობრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაცემაზე, რომლის მოთხოვნითაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აღმასრულებელ დირექტორ არჩილ კონცელიძეს მიმართა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თუმცა ბანკმა მოცემულ დრომდე, ყოფილი თანამშრომლის საქმეზე ინფორმაციას მიზანმიმართულად, შეგნებულად და კატეგორიულად არ გასცემს. აღსანიშნავია, რომ ბანკმა არ გასცა ორგანიზაციის ხელმძღვანელთან სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიც და აღნიშნა, რომ ოპერატორის გარდა, ბანკის საყოველთაო ნომერზე, ყველა სხვა წარმომადგენელთან საუბარი, არ იწერება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სასამართლოს მეშვეობით ითხოვს საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, სადავო ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღდგენას, მორალური ზიანის ანაზღაურებას და მენეჯერის მიმართ სარეკომენდაციო წერილი-ცნობის გაცემას.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები „პროკრედიტ ბანკთან“ 2014-2016 წლებში წარმოებული დავის იდენტურია და ორგანიზაცია მოსალოდნელი სასამართლო სხდომების თაობაზე, საზოგადოების სრულ ინფორმირებას მოახდენს. საქმეზე წარმომადგენლობას „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი და იურისტი ია გოგნაძე უზრუნველყოფენ.

**ნიუსპრესი**

# „ნარმანიას ან ელჩად გაუშვებენ, ან ბიზნესში წავა“

## დავით ლორთქიფანიძე: „არასოდეს გამომიყენებია ჩემი მდგომარეობა ჩემი მეუღლისთვის სამუშაოს მოსაძებნად“

გულიკო ბალაძე

**დავით ლორთქიფანიძეს** „ახალი თაობა“ ნეპოტიზმსა და სხვა პრობლემებზე ესაუბრა.

***– ბატონო დავით, ძალიან ხშირად საუბრობენ ხელისუფლებაში არსებულ ნეპოტიზმზე. ამჯერად გამოქვეყნდა მთელი სია იმ ათეულობით ჩინოვნიკისა თუ დეპუტატისა, რომლებმაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიანთი მეუღლეები თუ ოჯახის სხვა წევრები სახელმწიფო სტრუქტურებში დაასაქმეს. ეს რას ნიშნავს?***

– მე ეგ სია არ მინახავს, თუმცა, ყური მოვკარი, რომ სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ნათესავები დაუსაქმებიათ.

***– 37 თუ 38 ჩინოსანი და დეპუტატი გამოავლინეს ისეთი, რომლებმაც თურმე თავიანთი ახლობლები დაასაქმეს. თქვენ არ დაგისაქმებიათ თქვენი მეუღლე, როცა დეპუტატი ბრძანდებოდით?***

– ძალიან კარგი იქნებოდა, საქართველოში ყველას ჰქონდეს დასაქმების საშუალება, იღებდეს ხელფასს. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ არის. ამ ფონზე ადამიანებში გარკვეულ უსიამოვნებას იწვევს მაღალი თანამდებობის პირების მიერ ოჯახის წევრების დასაქმება სახელმწიფო სტრუქტურებში.

დასაქმებასა და საჯარო სამსახურში მუშაობაში ცუდი არაფერია, მაგრამ, თუ სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე პირის დანიშვნის შემდეგ მისი ოჯახის წევრის დასაქმება მოხდა, ეს კითხვებს ბადებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს თანამდებობის პირის ოჯახის წევრის კომპეტენტურობას. მან კონკურსი უნდა გაიაროს. თუ კონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა ან შტატგარეშე თანამშრომლად ჰყავთ აყვანილი, რომლის უფლებასაც თანამდებობა იძლევა, ეს საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევს.

თქვენ ჩემი მეუღლის დასაქმებაზე მკითხეთ – ჩემს მეუღლეს მას შემდეგ, რაც ჩემი მეუღლე გახდა, არ უმუშავია. მანამდე სულ მუშაობდა. მე სულ თანამდებობის პირი ვიყავი. პარლამენტის წევრი, სერიოზული სახელმწიფო



საწარმოს, ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორი ვიყავი, ვმუშაობდი პარლამენტში, როგორც აპარატის თანამშრომელი და ა.შ. ჩემი მეუღლე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში არსად მუშაობდა. ეს არის ჩვენ შორის ერთგვარი „უსიამოვნების“ მიზეზი.

***– მეუღლე რატომ არ ამუშავეთ?***

– ჯერ ბავშვები პატარები იყვნენ, შემდგომ არ გადავდგი ნაბიჯი, ვინმესთვის მეთხოვა, ჩემი თანამდებობა გამომეყენებინა და სხვა ადამიანის ადგილი ჩემს მეუღლეს დაეკავებინა. მე ეს არასოდეს გამიკეთებია.

***– რა სპეციალობა აქვს?***

– ჩემი მეუღლე სამართალმცოდნეა, კარგად ფლობს უცხო ენას, მაგრამ ჩავთვალე, რომ ქართველი მანდილოსნისთვის მნიშვნელოვანი იყო შვილების აღზრდა ქართული ოჯახის ტრადიციებით.

***– ბატონო დავით, თქვენ ბრძანეთ, არ მინდოდა, ვინმესთვის მეთხოვა, ჩემი მეუღლე დაესაქმებინათო ანუ გინდათ თქვათ, რომ წლების განმავლობაში ისეთი სიტუაციაა ქვეყანაში, თუ ვინმეს არ სთხოვე, სამსახურს ვერ დაიწყებ?***

– კეკლუცობა არ მჩვევია, პირდაპირ გეტყვით, ეს ძალიან მარტივი გზა იქნებოდა. მე შემეძლო, ვინმესთვის მეთხოვა, მაგრამ შეგნებულად არ გავაკეთე. ახლა ცხადდება კონკურსები, შეიტანოს სივი, ჩააბაროს გამოცდები და, თუ მუშაობას დაიწყებს, მხოლოდ მივესალმები. დამატებითი რესურსის შემოსვლა ოჯახში ნამდვილად არ მაწყენდა.

***– არ არის ადვილი დღეს დასაქმება, მაგრამ როგორ შეიძლება გადაწყდეს ნეპოტიზმის პრობლემა?***

– ნეპოტიზმი ძალიან ცუდად მოქმედებს მოსახლეობაზე. განსაკუთრებით ეს იგრძნობა რაიონებში, სადაც ადამიანები ერთმანეთს იცნობენ, საჯარო სექტორში ერთი ოჯახიდან ყველა დასაქმებულია, ხოლო მეორიდან – არავინ. ეს უხერხულობას ქმნის. მეორე მხრივ, მამისა თუ ბაბუის თანამდებობა არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი დასაქმებისთვის.

***– ამ საკითხის მოგვარება როგორ წარმოგიდგენიათ?***

– სახელმწიფო მოხელეების თვითშეგნება უნდა გაიზარდოს, რაც გარანტია იქნება იმისა, რომ არ გადააბიჯებენ მორალურ ზღვარს და არ დაუშვებენ ახლობლების დასაქმებისთვის პროტექციას. როცა პირის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მისი შვილი, რძალი, სიძე გარკვეულ სახელმწიფო სამსახურებში აღმოჩნდებიან დასაქმებულები, ეს მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ ნიჰილიზმს გამოიწვევს.

***– თქვენ არ გაკითხავდნენ ნათესავები, დასაქმებაში დამეხმარეთო?***

– ჩემთან ძალიან ბევრი ადამიანი მოსულა დასაქმებასთან დაკავშირებით. ყველასთვის – არა, ვისშიც ეჭვი არ შემპარვია, რომ ის ადამიანი გამოადგებოდა ამა თუ იმ საქმეს, რეკომენდაცია გამიწევია. არ მახსენდება არცერთი შემთხვევა, ჩემ მიერ რეკომენდებულ ადამიანს თავი შეერცხვინოს. რეკომენდატორის ინსტიტუტი გარკვეული ფორმაა და მე არ მრცხვენია ამის თქმა. თუმცა, ჩემი ახლობლების რეკომენდატორი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები.

ადამიანები, რომლებიც ჩემთან მოსულან ჯანმრთელობისა და სხვა პრობლემების გამო, არ დაგიმალავთ და ჩავრთულვარ ამ პროცესში. ვაპირებ, ასე გავაგრძელო.

***– მოგმართავდნენ, როგორც დეპუტატს?***



– დიახ. ურთიერთობები წლების განმავლობაში ყალიბდება, მით უმეტეს, საჯარო სივრცეში. თუმცა, არ დაგიმალავთ და ნაციონალებთან არავითარი შეხება არ მქონია, მათთვის რა უნდა მეთხოვა, მაგრამ მე მაქვს იმის პოლიტიკური წონა, ვიყო რეკომენდატორი. თუ ამას არ ვაღიარებ, ადამიანები, რომლებიც ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, რომელთა მიმართაც მაქვს ადამიანური წვლილი ცხოვრების გაუმჯობესებაში, ისინი ნაწყენი დარჩებიან. თუმცა, ყველას არ ვაძლევ რეკომენდაციას.

***– „ქართულ ოცნებაში“ თუ მიეცით რეკომენდაცია ვინმეს?***

– „ქართულ ოცნებაში“ ძალიან ბევრ ადამიანს მივეცი რეკომენდაცია და ისინი გამორჩეულები არიან, მათ შორის, რაიონებში.

***– „ქართულ ოცნებაში“ კადრების შერჩევა როგორ ხდება?***

– კადრების შერჩევაზე დაწერილი კანონმდებლობა არ არსებობს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ვართ „ოცნებაში“ 2011 წლიდან მოყოლებული (ვართ პოლიტიკური ძალის დამფუძნებლები), ამ ქვეყანაში ვიცნობთ ადამიანებს, მათთან გვაქვს ურთიერთობა და ძალიან მარტივად ხდება ეს ყველაფერი – ან თვითონ ვარჩევთ, მოგვწონს მათი დამოკიდებულება საქმისადმი, ან ჩვენი ახლობლები მოდიან და გვეუბნებიან, დავუშვათ, ესა და ის ადამიანი ჩვენ გამოგვადგება და თქვენ რას იტყვითო.

ძალიან მარტივად ხდება, ვაკვირდებით ადამიანებს და არასოდეს ერთი ადამიანის რეკომენდაციით არ მიმიღია გადაწყვეტილება. რამდენიმე ადამიანთან ვამოწმებ ხოლმე, რომ არ შევცდე ამ ადამიანების რეკომენდაციაში და არასოდეს შევმცდარვარ. თუმცა, ერთი ადამიანი მთლად ვერ გამოვიცანი, მაგრამ, არა უშავს, ისიც არ არის ისეთი, რამე ავნოს სახელმწიფოს.

***– თქვენ გავნოთ?***

– ალბათ, მე მავნო იმიტომ, რომ (ხომ ხედავთ, როგორი გულწრფელი ვარ) მე მივეცი რეკომენდაცია და, როგორც ჩანს, მის თვისებებში რაღაც ცვლილება მოხდა. ამას ვერ გათვლი, თუ ადამიანი თვითტრანსფორმირებას განიცდის, აღმოჩნდება თუ არა გარკვეულ გარემოში, მან ტრანსფორმაცია განიცადა არა სიკეთისკენ.

***– ნანობთ?***

– არ ვნანობ. რაღაც პერიოდი ამართლებდა, რაღაც პერიოდი აღარ ამართლებდა. თუმცა, ჩემ გამო არ მომხდარა მისი სახეცვლილება. ეტყობა, გარემომ, რომელშიც მოხვდა, შეცვალა. ჩემთან ისეთი აქტიური ურთიერთობა აღარ აქვს, რაიონშია.

განსაკუთრებით სტუდენტებს ვეხმარები. ერთი შემთხვევა მქონდა – ამასწინათ ერთი ახალგაზრდა, რომელმაც ახლახან დაამთავრა უნივერსიტეტი, ფეისბუქგვერდზე წერდა, რომ მისი დიპლომის აღებაში გარკვეული წვლილი მქონდა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო. საკმაოდ ხელმოკლე ოჯახის წარმომადგენელი იყო, სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ჩემი დახმარებით მას ეს პრობლემა მოუგვარდა.

***– კადრები ყველა ხელისუფლების პრობლემა იყო. თქვენი ხელისუფლების პრობლემა კადრები არის? „ქართულ ოცნებას“ როგორი კადრები ჰყავს? პროცესებს შიგნიდან ხედავთ?***

– მე პროცესებს შიგნიდან ვხედავ, რა როგორაა. პოლიტიკური ძალის საკადრო პოლიტიკის შემფასებელი ამომრჩეველია. შედეგს არჩევნები დებს. ამიტომ, თუ ჩვენს პოლიტიკურ ძალას საკადრო საკითხში რაიმე პრობლემა აქვს, ამომრჩეველი იტყვის. ყოველ წელს არჩევნებია და დიდხანს არ გაახარებს. განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საზოგადოება პასუხს გასცემს. არჩევნები თავისუფალია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ არის საპარლამენტო არჩევნებზე ნაკლები, რადგან ადგილებზე იცვლება ხელისუფლებები, რაც შემდეგ განაპირობებს ახალი კადრების კულტივაციას. ადგილობრივ არჩევნებში რაიონებში ვერავის ჩაიყვან, იქ ადგილობრივი კადრებია, რომელთაც მოსახლეობა ძალიან კარგად იცნობს. როგორც უნდა ვეცადოთ პარტიული ატრიბუტიკით, თუ კადრი არ არის ღირსეული, ხალხი არ მიიღებს. პარტია უნდა ეცადოს, ადგილებზე წახალისებული იყვნენ ის კადრები, რომლებმაც 2011 წლიდან თავი გადადეს ნაცრეჟიმთან ბრძოლაში.

2012 წლის შემდეგ არაორდინარული მდგომარეობა იყო. კოაბიტაციამ ძალიან დაგვაზარალა. დღეს არ არის არავითარი აუცილებლობა, ანგარიში გავუწიოთ ნაცმოძრაობასა და მის განაყოფებს. ჩვენ დღეს აქცენტი უნდა გავაკეთოთ ჩვენს აქტივზე. ადგილზე ბევრი პროფესიონალი გვყავს. თუ ჩვენს თანამებრძოლებს დავეყრდნობით, წარმატებას მივაღწევთ.

***– მთავრობაში საკადრო ცვლილებები მოსალოდნელია?***

– ერთი ცვლილება აუცილებლად იქნება. მოგეხსენებათ, კახა კალაძე „ოცნების“ მერობის კანდიდატი უნდა იყოს.

***– ნარმანია სად მიდის, გენერალურ აუდიტორად?***

– გენერალურ აუდიტორად, არ ვიცი. შეიძლება ელჩად გაუშვან, ან ბიზნესში წავიდეს.

***– ბიზნესს ხომ ფული უნდა?***

– ბიზნესს მხოლოდ ფული არ სჭირდება, მართვაც საჭიროა.

***– დიდ ბიზნესში ხომ არ მიდის, ბიძინა ივანიშვილთან?***

– ეგ არ ვიცი, მაგრამ გამორიცხული არ არის.

# გია ვოლსკი: „მონარქიის აღდგენა საქართველოსთვის პოზიტივის მომტანი იქნება“

– საქართველოში მონარქიის აღდგენის საკითხის მიმართ ნამდვილად პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს.

ამის შესახებ უმრავლესობის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის იმ მოსაზრების კომენტირებისას განუცხადა, რომელიც კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას უკავშირდება.

ვოლსკის თქმით, ის, რაც მონარქიის კარს ახასიათებს, თუნდაც დამოკიდებულება აფხაზებთან, ოსებთან, სხვა ერებთან, საქართველოსთვის პოზიტივის მომტანი იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლო პერსპექტივაში ამის წინაპირობები არ ჩანს.

– მონარქია არა მხოლოდ ჩვენი ისტორიული წარსულია, არამედ არის ძალიან წარმატებული მაგალითი, რომელიც დასავლეთ ევროპაში არსებობს. ამ ქვეყნებს საკმაოდ წარმატებული განვითარება ახასიათებს როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ამ თემასთან დაკავშირებით პირადად მე ნამდვილად პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს და არა მხოლოდ ემოციური შინაარსიდან გამომდინარე – ჩემთვის ამ საკითხს მხოლოდ ემოციური საწყისი არა აქვს. ეს არის დაკავშირებული სავსებით პრაგმატულ ხედვასთან. საკონსტიტუციო მონარქიის ახლა ამოქმედება რეალურად არ მეჩვენება, რადგან თვითონ მეფის გვარი, მეფის ოჯახი, სამეფო სახლი ჯერ ისე არ არის ჩამოყალიბებული და მომზადებული, რომ რეალური კანდიდატურა წარმოადგინოს. ალბათ, დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ, ახლავე თუ პოზიტიური განწყობა დაითესება, ურიგო არ იქნება. გადავხედოთ დიდი ბრიტანეთის, დანიის, შვედეთის, ბელგიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მაგალითს, როდესაც ერისა და სხვადასხვა ეროვნების გამაერთიანებელი არის სამეფო ოჯახი, – განუცხადა ინტერპრესნიუსს გია ვოლსკიმ.



* * *

– საქართველო არის უძველესი მონარქია. კონსტიტუციურ მონარქიას სიმშვიდე შემოაქვს ქვეყანაში.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 18 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

– საქართველო არის უძველესი ქვეყანა, უძველესი კულტურით. იქნებ გვეფიქრა ჩვენ იმაზე, ვინ ვიყავით წარსულში, ვინ ვართ დღეს და ხვალ ვინ ვიქნებით. იქნებ გვეფიქრა იმაზე, რომ საქართველო არის უძველესი მონარქია. ღვთის წყალობით, მეფე გვმართავდა. დღეს ხშირი შემთხვევაა მსოფლიოში, როცა მონარქი ეწოდება, მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. ამას ეწოდება კონსტიტუციური მონარქია და სიმშვიდე შემოაქვს ქვეყანაში. ეს, რა თქმა უნდა, დღეს და ხვალ ვერ მოხდება, მაგრამ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი, – განაცხადა უწმინდესმა.

**ინტერპრესნიუსი**

# მერკელი: „ჰელმუტ კოლი ამ ქვეყნიდან გამარჯვებული წავიდა“



გარდაიცვალა გამოჩენილი გერმანელი პოლიტიკოსი ჰელმუტ კოლი (1930-2017). მან როგორც გერმანიის, ისე მთელი ევროპის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

კოლი ჩინოვნიკის ოჯახში დაიბადა. მისი უფროსი ძმა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. 1945 წელს 15 წლის კოლი ჯარში გაიწვიეს, მაგრამ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მოუხდა, რადგან მესამე რაიხმა არსებობა შეწყვიტა.

– ომმა ჩემს ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა. კატასტროფამ, რომელიც მაშინ გერმანიამ განიცადა, სამუდამოდ ჩამინერგა სიძულვილი ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის მიმართ, – წერდა შემდგომში კოლი.

გერმანიის მომავალ კანცლერს სძულდა ნაციზმი, მაგრამ სძულდა კომუნიზმიც, რომელმაც გერმანიას არანაკლები უბედურება მოუტანა. რელიგიურ ოჯახში აღზრდილი კოლი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. ამ ორგანიზაციაში ის წლების განმავლობაში იმყოფებოდა. კოლი პოლიტიკოსად სწორედ აქ ჩამოყალიბდა. მან დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, იმყოფებოდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე. კოლმა ოპოზიციაში ყოფნაც გამოცადა. თავისი მიზნისაკენ ის წლების განმავლობაში ისწრაფვოდა.

– 1945 წელს დანგრეული, გაცამტვერებული გერმანია ვიხილე! სამშობლოს აღორძინება და გაერთიანება ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი გახდა, – აცხადებდა შემდგომში კოლი.

კანცლერის პოსტი მან 1987 წელს დაიკავა. ამ თანამდებობაზე 1997 წლამდე დაჰყო. არცერთ გერმანელ პოლიტიკოსს კანცლერის სავარძელი ამდენ ხანს არ შეუნარჩუნებია. კოლმა გადადგა გაბედული ნაბიჯი და თავის ქვეყანაში ამერიკული რაკეტები განალაგა. ამით საბოლოოდ მოეღო ბოლო საუბარს ე.წ. გერმანიის ფინლანდიზაციის შესახებ.

– ერთიანი ნეიტრალური გერმანიის შექმნა უტოპიაა! გერმანია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაერთიანდება, თუკი ნატოს წევრი და ევროპაში აშშ-ის უმთავრესი მოკავშირე იქნება! – განაცხადა მაშინ კოლმა.

გერმანის გაერთიანება იმხანად ბევრს ფანტასტიკად მიაჩნდა. 1990 წელს ოცნება რეალობად იქცა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ), რომელიც მხოლოდ რუსული ხიშტების წყალობით არსებობდა, რუკიდან სამუდამოდ გაქრა.

– შემდგომში იტყვიან, რომ გერმანიის გაერთიანება მხოლოდ ჩემი დამსახურებაა. ეს არ არის სწორი. ერთიანი გერმანიის აღდგენა გერმანელი ხალხის დამსახურებაა, – ამბობდა კოლი.

მისი წვლილი ევროკავშირის შექმნაშიც უდიდესია. კოლმა შეძლო დაერწმუნებინა თანამემამულენი, რომ მარკა ევროთი ჩაენაცვლებინათ. ევროკავშირი, რომლის შექმნაც ბევრს ასევე ფანტასტიკად ეჩვენებოდა, რეალობა გახდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კოლი ავადმყოფობდა. ანაზდეული წაქცევის შემდეგ ინვალიდის სავარძელს იყო მიჯაჭვული. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა სულის სიმხნევე და ნათელი გონება.

– ჰელმუტ კოლი ამ ქვეყნიდან გამარჯვებული წავიდა, – ასე შეაფასა კანცლერის მოღვაწეობა გერმანის ამჟამინდელმა კანცლერმა ანგელა მერკელმა.

**ნიკა თევზაძე**

## კალეიდოსკოპი

### ავსტრალიელმა პოლიციელმა მოჩხუბარი კენგურუ და ძაღლი გააშველა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მცხოვრებმა ენტონი ჰარტლიმ ვიდეოზე გადაიღო გერმანული ნაგაზისა და დიდი კენგურუს ჩხუბი.

მამაკაცის თქმით, მან მოჩხუბარი ცხოველები მანქანით მიმავალმა შენიშნა. ის გაჩერდა და დაახლოებით 20 წუთი ადევნებდა თვალს, სანამ ძაღლი და კენგურუ პოლიციის თანამშრომელმა არ გააშველა.

ვიდეოზე ჩანს, რომ დროდადრო კენგურუ უტევს ძაღლს, რომელიც უყეფს, თუმცა მისთვის კბენას არ ცდილობს. რამდენჯერმე ძაღლმა უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ ისევ შეუტია კენგურუს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი ქალაქ ჯინდაბაინის მახლობლად, ამავე სახელწოდების ტბის პირას მოხდა.

### ძროხებმა ბრიტანელი მილიონერი იმსხვერპლეს



ბრიტანელი მეცნიერი და ბიზნესმენი ბრაიან ბელჰაუზი ძროხების თავდასხმის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 80 წლის ბელჰაუზი ინგლისის აღმოსავლეთ სუსექსის ქალაქ ვინჩელსის შემოგარენში სეირნობდა, სადაც ბოლო დროს ცხოვრობდა. სოფელ გესტლინგთან მე-11 საუკუნის ეკლესიის მახლობლად მას აღგზნებული ძროხების ნახირი დაესხა თავს.

სხვა მოსეირნეებმა ხანდაზმული მამაკაცის ყვირილის ხმა გაიგეს და სასწრაფო დახმარება და პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე შვეულმფრენით მისულმა ექიმებმა ბიზნესმენს ხელოვნური სუნთქვა და გულის დახურული მასაჟი გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

ადგილობრივი პრესის ცნობით, დიდი ბრიტანეთში მიმდინარე თვეში ძროხები ორჯერ დაესხნენ თავს ადამიანებს. ერთი ინციდენტი დიდი მანჩესტერის საგრაფოში, ხოლო მეორე – კუნძულ უაიტზე მოხდა. შედეგად ორი ქალი დაშავდა.

### ნიუ იორკში ათასობით ფუტკარმა ცათამბჯენის შესასვლელი ჩაკეტა



ნიუ იორკის ბიურო მანჰეტენში 20 ათასმა ფუტკარმა Vox Media-ს შენობის კედელი დაიკავა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქის ახალი ამბების პორტალზე გამოქვეყნდა. ვიდეორგოლი 154 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფუტკრების გუნდი უკან გაჰყვა დედა ფუტკარს, რომელიც ნიუ იორკის მაღალი სიცხეების გამო ახალ საბინადრო ადგილს ეძებდა. შენობასთან მეფუტკრეები მივიდნენ, რომლებმაც მწერები კოლოფებში მოათავსეს.

ცნობილია, რომ 2010 წლიდან ნიუ იორკში ფუტკრების მოშენება ნებადართულია. ქალაქის მცხოვრებლებს სახლების სახურავებზე სკები აქვთ დადგმული და მეფუტკრეობას მისდევენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### ამერიკული ავიამზიდი ფილიპინების სავაჭრო ხომალდს შეეჯახა

ამერიკული ავიამზიდი „ფიცჯერალდი“ ფილიპინების სავაჭრო ხომალდს შეეჯახა.



შედეგად ავიამზიდის სამმა ჯარისკაცმა, მათ შორის მეთაურმა, დაზიანებები მიიღო. ავიამზიდი დაბრუნდა თავის ბაზაზე, რომელიც იაპონიაშია განთავსებული.

ინციდენტის შედეგად დაიკარგა 7 ამერიკელი ჯარისკაცი. მოგვიანებით მათი ცხედრები იპოვეს.

ფილიპინელთა ეკიპაჟიდან არავინ დაზიანებულა.

### ირანი საუდის არაბეთს დაემუქრა

სპარსეთის ყურეში ინციდენტი მოხდა. საუდის არაბეთის სანაპირო დაცვამ ირანელ მეთევზეებს ცეცხლი გაუხსნა.



ამ უკანასკნელებმა ღელვის დროს ნავი ვერ დაიმორჩილეს და საუდის არაბეთის ტერიტორიულ წყლებში აღმოჩნდნენ. სროლის შედეგად ერთი მეთევზე დაიღუპა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდარის გამო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ საუდის არაბეთის სანაპირო დაცვის მოქმედება საერთაშორისო ნორმებში არ ჯდება. განცხადება პირდაპირი მუქარით მთავრდება:

– ირანი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რათა დამნაშავენი გამოავლინოს და დასაჯოს!

### ინგლისის დედოფალმა ლონდონის ხანძრის დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო



ლონდონის ხანძარი დედოფალ ელისაბედ მეორის დაბადების დღეს დაემთხვა. დედოფალმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

– ახლა, როგორც არასდროს, სიმტკიცე და ერთიანობა გვმართებს! – თქვა ელისაბედ მეორემ.

დედოფალმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს განგებამ ინგლისს განსაცდელი არგუნა. ტერაქტი მანჩესტერში, ახლა კი ხანძარი ლონდონში. მიუხედავად ამისა, ელისაბედ მეორე სიმხნევეს არ კარგავს:

– ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ხალხი ამას დაძლევს! – ამბობს იგი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დინამო ლიდერობას არ თმობს. ტორპედოს ახალი პატრონი გამოუჩნდა



<u>საბურთალო-დინამო (თბ) 0:5</u>

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

0:1 არაბული (46), 0:2 ლობჟანიძე (54), 0:3 პაპუნაშვილი (70), 0:4 ნინუა (90), 0:5 პაპუნაშვილი (90)

**საბურთალო:** კუპატაძე, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, თორ.გრიგალაშვილი, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, ტერა (იმნაძე 69), ხარაიშვილი, არზიანი (ბიძინაშვილი 39), ფიფია (კოხრეიძე 54), შინდაგორიძე

**დინამო:** ლიტოვჩენკო, ლოჩოშვილი (კობოური 46), ქარდავა, არაბული, მიქელთაძე, პაპუნაშვილი, ლობჟანიძე (ნინუა 84), თევზაძე (ჩაკვეტაძე 46), სალუქვაძე, კუცია, გველესიანი

მატჩი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე ბექა მიქელთაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ლაზარე კუპატაძემ უკუაგდო, დამატებაზე კი გიორგი პაპუნაშვილს არ გაუმართლა. საპასუხოდ ლაშა შინდაგორიძე უტევდა დინამოელთა კარს სახიფათოდ, რასაც საბოლოოდ კუთხური მოჰყვა. თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე ხუთწუთიან მონაკვეთში ბექა მიქელთაძის შორი მანძილიდან და გიორგი პაპუნაშვილის მაკრატელა დარტყმებია აღსანიშნავი. საბურთალომაც სახიფათოდ შეუტია სტუმრებს და გიორგი ხარაიშვილის ერთი შეხებით ძლიერად დარტყმული ზემოდან გადაცდა დინამოელთა კარს. პირველმა ტაიმმა შედარებით დაბალ სათამაშო რიტმში ჩაიარა, რაშიც თავისი წვლილი ჰაერის უჩვეულოდ მაღალმა ტემპერატურამაც შეიტანა.

მე-2 ტაიმი განსხვავებული გამოდგა. დინამოელები გაცილებით აქტიურად ათამაშდნენ და ტაიმის დაწყებიდან ერთ წუთში ანგარიშიც გახსნეს. შეცვლაზე შემოსული დავით კობოურის ჩაწოდებას, ბაჩანა არაბული ზუსტი თავური დარტყმით გამოეხმაურა. მალევე საბა ლობჟანიძემ შეტევის მარცხენა ფრთაზე ჩაიქროლა, რამდენიმე მეტოქეს გვერდიც აუარა და ძლიერი დარტყმით თავისიანები 2 გოლით დააწინაურა.

დინამოელებმა ისევ უმატეს შეტევებს, რასაც არაბულისა და პაპუნაშვილის გაცუდებული მომენტები მოჰყვა. 70-ე წუთზე პაპუნაშვილმა, რომელიც საკმაოდ აქტიური გახლდათ დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი და ზუსტი დარტყმით გაუტანა კუპატაძეს.

შეხვედრის ბოლოსკენ მასპინძლებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს. ხარაიშვილი და შინდაგორიძე ცდილობდნენ ურთიერთშეხვედრებში საბურთალოს სასარგებლოდ გოლის გატანას, თუმცა ამაოდ – ორივე შემთხვევაში სერგეი ლიტოვჩენკომ ითამაშა კარგად.

საპასუხოდ კი ახალგაზრდა ნიკა ნინუამ თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა ლურჯ-თეთრი მაისურით. მსაჯის კომპენსირებულ დროს კი ნიკამ პაპუნაშვილს საგოლედ უპასა და დინამომ 5:0 იმარჯვა.

<u>ტორპედო-დინამო (ბთ) 1:0</u>

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 კუხიანიძე (20პ)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ადამაძე (ბურჯანაძე 85), ჭიჭინაძე, ბაბუნაშვილი (მამასახლისი 66), კაპანაძე (კუჭუხიძე 70), კუხიანიძე, გურული, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური, ტუღუში

**დინამო:** ტიმოფეევი, ფარტენაძე, მახარაძე, ქავთარაძე, შონია, გორელიშვილი (კვანტალიანი 64), თევდორაძე (ე.გრიგალაშვილი 75), სუხიაშვილი, კვირკველია, თარხნიშვილი, კვასოვი

ქუთაისის მუნიციპალიტეტმა კლუბის შემდგომი განვითარებისა და უკეთესი საარსებო პირობების შექმნის მიზნით, მისთვის კერძო მესაკუთრის მოძიება გადაწყვიტა, რისთვისაც 2017 წლის 11 მაისს აუქციონიც გამოცხადდა, თუმცა პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

2017 წლის 1 ივნისს მუნიციპალიტეტმა განმეორებითი აუქციონი გამოაცხადა და კლუბის შეძენის მსურველი შპს „ინტერნეიშენალ სოქერ ჰაუსი“ აღმოჩნდა. წარმატებული ბიზნესმენი ზაალ ჩაჩავა, რომელიც ჯერ კიდევ შარშან გამოთქვამდა ტორპედოს შეძენის სურვილს და წლის წინ, კლუბის პრეზიდენტად დაინიშნა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის მიერ მიღწეულ წარმატებებში, საბოლოოდ 100%-იანი წილით, 300.000 ლარად ს.კ ტორპედოს მფლობელი გახდა.

ახალ მფლობელს კლუბში მისვლა ფეხბურთელებმა გამარჯვებით მიულოცეს: დებიუტში თანაბარი ბურთაობის შემდეგ ტორპედოელებმა თანდათან მოახერხეს უპირატესობის დაუფლება, რასაც ტიმოფეევის კარისკენ დოლიძის და ტუღუშის დარტყმები მოჰყვა, ოღონდ გატანის ორივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა გოლმაც არ დაახანა. მე-19 წუთი იყო, მარცხენა ფრთაზე ქიმაძემ გაიბრწყინა. გიორგიმ საკუთარი ნახევრიდან წინ გაიგდო ბურთი, სწრაფად შეაღწია ბათუმელთა საჯარიმოში, მეკარეც მოატყუა, მაგრამ კარში ვეღარ დაარტყა – ტიმოფეევმა მისი წაქცევა მოასწრო. არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც კუხიანიძემ აქცია გოლად – 1:0.

ზღვისპირელებს ხელები არ ჩამოუშვიათ. 30-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებას ცოტა დააკლდა – სახიფათოდ დარტყმული საჯარიმოს შემდეგ ქიმაძემ თითქმის კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. პირველი ტაიმის ბოლოსკენ მეტოქეებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს. როინ კვასხვაძემ გორელიშვილის მიერ დაბალ კუთხეში გაგზავნილი მოიგერია, ხოლო გურულის თავური მცირე მანძილით აცდა მიზანს.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე დოლიძის მიერ მარცხნიდან ჩახვეულ კუთხურზე ტიმოფეევმა ბოლო წამს მოასწრო ბურთზე რეაგირება. შემდეგ გურული საკმაოდ ახლოდან ურტყამდა მეტოქის კარში, მაგრამ ბურთი მცველისგან კუთხურზე გადავარდა. ამის შემდეგ თამაში ბათუმელთა აქტიურობით გაგრძელდა, სტუმრები ბევრს ეცადნენ მატჩის გადარჩენას, თუმცა არ გამოუვიდათ.

<u>ლოკომოტივი-სამტრედია 0:1</u>

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

0:1 სამუშია (5)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ნ.ჭანტურია, ხიდეშელი, რეხვიაშვილი, მენთეშაშვილი (სამურკასოვი 54), ჩიტეიშვილი (კიკნაძე 69), გაბაძე (ბულრიძე 81), უბილავა, დიასამიძე, არველაძე, სიხარულიძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, კასრაძე, სანდოხაძე, გოგიაშვილი, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, მარკოზაშვილი (ბურკაძე 90), ჯიქია (ოლხოვი 87), სამუშია (ბელოვი 65), ბერიაშვილი

სამტრედიელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და კვლავაც ლიდერთა რბოლაში არიან. 3 ქულის მომტანი გოლი გურამ სამუშიამ მატჩის დასაწყისში გაიტანა.

ლოკოს კი ისევ უჭირს. მისი თამაში აღარაა სწრაფი და გააზრებული, რითიც სეზონის სტარტზე გამოირჩეოდა. ფეხბურთელებს უჭირთ რეალური საგოლე მომენტების შექმნა და ბოლო 7 მატჩში 6 მარცხი განიცადა.

<u>დილა-შუქურა 4:0</u>

**თბილისი. ბორის პაიჭაძე**

1:0 პომოზანი (18სკ), 2:0 რიბეირო (24პ), 3:0 წიქარიძე (66), 4:0 ტარაკალიე (78)

**დილა:** მუჯირიშვილი, პაპავა, რაზმაძე, რიბეირო (ტარავალიე 66), წიქარიძე, გაგოშიძე, ქარქუზაშვილი, კირკიტაძე (ნონიკაშვილი 83), კვახაძე, ნუბიო (მათიაშვილი 79), ძარია

**შუქურა:** ჯიოევი (სტურუა 8), პომაზანი, კუტალია, ჯეფინიო (საბაძე 74), კლიმიაშვილი, შალამბერიძე (არქანია 60), ჯაფარიძე, გურული, კახელიშვილი, მამულაშვილი, ჩაჩუა

გორელთა მთავარი საშინაო არენა „თენგიზ ბურჯანაძე“ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის რეკონსტრუქციის პროცესშია და ამიტომ დილამ ზღვისპირელები თბილისში „დინამო არენაზე“ მიიღო და გამანადგურებელი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა.

პირველი ბურთი მე-18 წუთზე გავიდა – დავით კირკიტაძის უკანასკნელის ჩაწოდება ფლავიო ნუბიომ თავური დარტყმით გოლად აქცია. ყოველ შემთხვევაში ტელეეკრანებზე ასე ჩანდა რამდენიმე რაკურსით, თუმცა გოლი პომოზანს ჩაეთვალა საკუთარ კარში.

საერთოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიმდინარე სეზონში მცირე რიკოშეტსაც კი ავტოგოლად თვლის და რამდენიმე ფეხბურთელს ამის გამო გოლები აკლდებათ.

დილა 2-ბურთიანი უპირატესობით 24-ე წუთზე დაწინაურდა: მასპინძლების მოწოდებული კუთხურის შემდეგ გიგა მამულაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. პენალტი ზუსტად ლეანდრო რიბეირომ ზუსტად შეასრულა.

გიორგი დეკანოსიძის ბიჭებმა მე-3 გოლი 66-ე წუთზე გაიტანეს: შუქურას მცველებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ თენგიზ წიქარიძემ ბრწყინვალე დარტყმით გაეტანა.

შეხვედრის საბოლოო ანგარიში კი 78-ე წუთზე ცვლილებაზე შესულმა სალიუ ტარავალიემ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე დააფიქსირა.

<u>კოლხეთი-ჩიხურა 1:3</u>

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 ტატანაშვილი (67), 1:1 კოვტალიუკი (75), 1:2, 1:3 ტატანაშვილი (86, 90)

**კოლხეთი:** სიკაჩი, გოგონაია, კერძევაძე, კაკულია (ქებურია 46), დაფე (ბუხაიძე 83), ოტიენო, ჯანელიძე, კოვტალიუკი, კორობკა, ბოლქაძე, გ.კილასონია

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, თორ.გრიგალაშვილი, მირცხულავა, სარდალიშვილი (დეკანოიძე 51), კორიფაძე, ტატანაშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (კაკუბავა 90), ჭელიძე, კაშია, გორგიაშვილი (განუგრავა 76)

**გაძევება:** ქებურია (60)

საჩხერელებმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს. ზემოიმერლები ინიციატივას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ და რომ არა პირობითი მასპინძლების მოლდოველი მეკარე სტეფან სიკაჩი ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

დიმიტრი ტატანაშვილმა მიმდინარე სეზონში ეროვნულ ლიგაში თავისი მე-2 ჰეთ-თრიქი შეასრულა და საჩხერელებს 3 ქულა მოუპოვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 17 | 13 | 1 | 3 | 40-10 | 40 |
| 2.ტორპედო | 17 | 11 | 4 | 2 | 26-10 | 37 |
| 3.სამტრედია | 17 | 9 | 3 | 5 | 22-18 | 30 |
| 4.ჩიხურა | 17 | 8 | 2 | 7 | 23-24 | 26 |
| 5.ლოკომოტივი | 17 | 7 | 3 | 7 | 29-21 | 24 |
| 6.საბურთალო | 17 | 7 | 1 | 9 | 20-24 | 22 |
| 7.დილა | 17 | 5 | 7 | 5 | 19-17 | 22 |
| 8.დინამო (ბთ) | 17 | 5 | 1 | 11 | 14-24 | 16 |
| 9.კოლხეთი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-29 | 16 |
| 10.შუქურა | 17 | 1 | 4 | 12 | 12-45 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 13 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 10;

# საქართველომ ამერიკა დაამარცხა და არგენტინა ელოდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

20 წუთი დაცვაში თამაშის შემდეგ ბურთზე კონტროლი დავამყარეთ, მეტოქე ორჯერ დაჯარიმდა და კვირიკაშვილმა 27-ე წუთისთვის ანგარიში 11:3 გახადა. ამასობაში ჩვენმა შერკინებამ კუთვნილი უპირატესობა მოიპოვა და ეს თამაშის მსვლელობაზე აისახა. ტაიმის ბოლოს ამერიკელები კიდევ ერთხელ შეცდნენ და ლელოს დადების კარგი შანსი გაჩნდა – ფლანგზე 3 ქართველი ერთი მცველის წინაშე დარჩა: ლაშა ხმალაძემ ბურთი ფეხით გადაკიდა, მას გიორგი კოშაძე დაეუფლა და მერაბ შარიქაძეს გაატანა, თუმცა ბორჯღალოსნების კაპიტანზე მაღალი ბოჭვა შესრულდა. ჯარიმის კარში დარტყმას ლელოდან 5 მეტრში შერკინება არჩიეს. ამერიკელებმა ქართველთა მიწოლებს ვეღარ გაუძლეს და 2 ჯარიმის შემდეგ მეტოქის ბურჯი სინბინში წავიდა, ხოლო მესამე ჯერზე რეფერიმ საჯარიმო ლელო (ახალი წესების თანახმად, გარდასახვის შესრულების გარეშე 7 ქულა) ჩასტვინა და ტაიმი 18:3 დასრულდა.

მეორე ტაიმის დებიუტში დავით კაჭარავამ ხაზი გაჭრა და მასპინძლები ლელოს ჯარიმის ხარჯზე გადაურჩნენ, რომელიც კვირიკაშვილმა 3 ქულად აქცია და უპირატესობა 18 ქულამდე გაზარდა. მაგრამ ამის შემდეგ იღბალმა ზურგი აქცია და 46-ე წუთზე შერკინების მიერ მოპოვებული ჯარიმა მიზანს ასცდა.

მასპინძლებმა ტემპს უმატეს და მათი იერიში ჩვენს 22-ში რამდენჯერმე ჯარიმის ხარჯზე შევაჩერეთ, თუმცა ამან არ გვიშველა და 57-ე წუთზე ლელო მივიღეთ, რომელსაც ზუსტი გარდასახვა მოყვა. 65-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა გიორგი ცუცქირიძემ მეტოქე ჰაერში შებოჭა და რეფერიმ სინბინში გაუშვა. კაცნაკლულებმა თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა შევძელით და კვირიკაშვილმა არეკნი ცადა, მაგრამ ვერ გაიტანა.

72-ე წუთზე რაქში ვიაქტიურეთ და თითქოს მეტოქეს ბურთი ავართვით, მაგრამ ამერიკელებმა მისი დაბრუნება შეძლეს, 40-მეტრიან წყვეტილთან ხაზი გაჭრეს და ლელოს კვლავ ზუსტი გარდასახვა მოყვა – 21:17. სათამაშოდ დრო ჯერ კიდევ რჩებოდა და სიტუაცია დაიძაბა. შერკინებამ გასატან პოზიციაზე ჯარიმა მოიპოვა და თითქოს უპირატესობა 7 ქულამდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ კვირიკაშვილმა მიზანი ვეღარ გაისწორა. ბოლო შეტევა ამერიკელების იყო, მათ ხაზზე გაშალეს ბურთი და სახიფათოდ შემოგვიტიეს, თუმცა მომხდური აუტში გადავიყვანეთ და ამერიკულ მიწაზე პირველი გამარჯვებით გავიხარეთ.

ამრიგად, ორიდან ორი – ასეთია ჩვენი გუნდის შედეგი 2017 წლის ივნისის ტესტებზე და წინ დასკვნითი მატჩია არგენტინასთან, რომელიც 24 ივნისს ჰუჰუიში გაიმართება.

საქართველოს ნაკრებმა ამერიკასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კვირიკაშვილი, კოშაძე, კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე (მალაღურაძე 77), ლობჟანიძე (ბეგაძე 60); ნარიაშვილი (მატარაძე 70), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 48), ჩილაჩავა (ბეკოშვილი 41), ნემსაძე (გიორგაძე 66), მიქაუტაძე (ჩხაიძე 48), ლომიძე, კოლელიშვილი (ცუცქირიძე 55), ბიწაძე.

## შედეგები

**17 ივნისი**

<u>ფეხბურთი</u>

**კონფედერაციის თასი**

რუსეთი-ახ.ზელანდია ..................... 2:0
ევროპის ჩემპიონატი ..................... (21)
პორტუგალია-სერბეთი ..................... 2:0
ესპანეთი-მაკედონია ..................... 5:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

ხეტაფე-უესკა ..................... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-ალესუნდი ..................... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

როვანიემი-ინტერი ..................... 2:0
სეინეიოკი-ვაასა ..................... 0:1
ჰიფკი-კემი ..................... 0:2

# კონფედერაციის თასი მასპინძელთა მოგებით დაიწყო

<u>რუსეთი-ახ.ზელანდია 2:0</u>

**სანკტ პეტერბურგი. ცენტრალური**

1:0 ბოკსოლი (31სკ), 2:0 სმოლოვი (69)



კონფედერაციის თასის მასპინძელმა რუსეთის ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ტურნირი. რუსებმა დამაჯერებლად დაამარცხეს მეტოქე და ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. თუმცა, თამაშის ხარისხი ისეთი ნამდვილად არ იყო, რომ თვალისმომჭრელი რქმეოდა. რუსებმა მეტოქის უკლასობის ხარჯზე უფრო იმარჯვეს.

ზელანდიელებში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რგოლებს შორის შეუთამაშებლობა. ოკეანეთის წარმომადგენლებს უმეთვალყურეოდ ხშირად რჩებოდათ თავისუფალი ზონები, რის გამოც რუსებს კონტრთამაში უფრო გამოსდიოდათ, ხოლო პოზიციური შეტევების დროს ნაკლებად ეფექტურები იყვნენ.

თუმცა, სტანისლავ ჩერჩესოვის შეგირდებმა დადებითი შედეგი დადეს და მათთვის სავსებით მისაღები თამაშით.

პირველ ტაიმში ზელანდიელი ბოკსოლი ავტოგოლით „გამოირჩა“ და რუსების ამის ხარჯზე დაწინაურდნენ, მე-2 ტაიმში კი ფიოდორ სმოლოვმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ალექსანდრ სამედოვი

კარგი თამაში გამოუვიდა რუსთა მარჯვენა ნახევარმცველს. მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა თავის ფლანგზე და სხვებზე მეტად ცდილობდა გამწვავებას. ერთი ასეთი მცდელობა სმოლოვის გოლით დასრულდა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# რა არის მუცლის ფუნქციური ტკივილები

ეკა ირემაშვილი

მუცლის ფუნქციური ტკივილები არ არის ჯანმრთელობისთვის საშიში მდგომარეობა, არ ესაჭიროება რაიმე განსაკუთრებული მკურნალობა და დამოუკიდებლად გაივლის ზრდასთან ერთად, თუმცა ამგვარი ტკივილები უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

რა არის მუცლის ფუნქციური ტკივილები და როგორ უნდა დავეხმაროთ ბავშვს ასეთ დროს? – ამ თემებზე იაშვილის კლინიკის აბდომინური დეპარტამენტის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი, ბავშვთა გასტროენტეროლოგი დავით მახათაძე საუბრობს.

**დავით მახათაძე:**

– 1-2 წლის ბავშვები მუცლის ტკივილს გამოხატავენ ჭირვეულობით, ტირილით, პასიურობით, საკვებზე უარით.

2,5-3 წლის ბავშვებს ხშირად შეუძლიათ ტკივილის ხასიათის მინიშნება, ზუსტად მითითება მტკივნეულ ადგილზე.

5 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების მუცლის ტკივილს ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. ფუნქციური ტკივილები, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული შინაგანი ორგანოების დაავადებებთან. ამგვარი ტკივილების შესახებ მაშინ ვსაუბრობთ, როდესაც ტკივილის მიზეზების დადგენა ვერ ხერხდება, მიუხედავად საფუძვლიანი გამოკვლევისა.

მართალია, ფუნქციური ტკივილების დროს ადგილი არ აქვს რაიმე დაავადებას, თუმცა ეს მაინც არ არის სიმულაცია. ბავშვები არ იგონებენ ტკივილს, ისინი მართლაც წუხდებიან.

ვინაიდან ვახსენეთ ტერმინი სიმულაცია, აქ მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ სკოლამდელი და ადრეული სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირად მიმართავენ სიმულაციას რაღაცა მიზეზის გამო, ეს უმიზეზოდ არასდროს ხდება, შეიძლება ეჭვიანობის მიზნით უმცროს ბავშვზე, ყურადღების მიპყრობის მიზნით, როცა საბავშვო ბაღში ან სკოლაში წასვლა არ უნდათ. ამ სიტუაციის გამოცნობა მშობლისთვის მაინცდამაინც რთული არ არის, იმიტომ რომ, როგორც კი გადაატანინებთ ყურადღებას სხვა რამეზე, რა თქმა უნდა, მისთვის საინტერესოზე, ასეთ დროს სიმულაციური ტკივილი, როგორც წესი, ქრება ხოლმე.

***– რას ნიშნავს ფუნქციური მუცლის ტკივილი?***

– ფუნქციური მუცლის ტკივილი ადვილად გასაგები ხდება, თუ მათ შევადარებთ თავის ტკივილებს. თავის ტკივილები პერიოდულად ადამიანთა უმრავლესობას ახასიათებს. უმრავლეს შემთხვევაში ეს ტკივილები არ უკავშირდება რაიმე დაავადებას, არამედ თავისთავად აღმოცენდება. ასეთია მუცლის ფუნქციური ტკივილები ბავშვებში. ეს ტკივილები ხშირად უკავშირდება სტრესს, გადაღლას. ამგვარი ტკივილები ძირითადად 8-15 წლის ბავშვებში გვხვდება.



დავით მახათაძე

5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებში ფუნქციური ტკივილები უფრო იშვიათია, ამიტომ, თუ ამ ასაკის ბავშვი პერიოდულად უჩივის მუცლის ტკივილს, სჯობს გავიაროთ ექიმთან კონსულტაცია. დიაგნოზი „მუცლის ფუნქციური ტკივილი“ უნდა დაადგინოს გამოცდილმა პედიატრმა სათანადო კვლევების შემდეგ.

***– რა დარღვევების ფონზე შეიძლება დაეწყოთ ბავშვებს მუცლის ფუნქციური ტკივილი?***

– ეს არის ფუნქციური დისპეპსია, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი და აბდომინური შაკიკი.

ფუნქციური დისპეპსია – ეს არის მდგომარეობა, რომლის დროსაც პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვს აღენიშნება მუცლის ტკივილები, რომელიც ჰგავს გასტრიტს ან წყლულოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელ ტკივილებს. ეს შეიძლება იყოს გულძმარვა, ტკივილი გულის კოვზთან, ტკივილი შიმშილის დროს, გულისრევის შეგრძნება.

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი საკმაოდ გავრცელებული და ხშირია. იგი სრულიად უხიფათოა, ვლინდება პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვებში მუცლის პერიოდული ტკივილის შეტევებით, რომლებიც საგრძნობლად იკლებს ნაწლავთა მოქმედების შემდეგ. ტკივილებს შესაძლოა ახლდეს ყაბზობა ანუ შეკრულობა ან ფაღარათი.

აბდომინური შაკიკი – ეს არის ძლიერი შეტევითი ტკივილები მუცლის არეში, რომლებიც ბავშვის ზრდასთან ერთად გადაიზრდება ხოლმე შაკიკისთვის დამახასიათებელ თავის ტკივილებში.

დამატებითი სიმპტომები შეიძლება იყოს: მუცლის ტკივილი ბავშვს ხელს უშლის თამაშში ან სწავლაში, ტკივილს ახლავს უმადობა, გულისრევა, ღებინება, თავის ტკივილი, სიფერმკრთალე, მკვეთრი შუქის აუტანლობა. თუ ბავშვი იძინებს, ტკივილი იხსნება, გაღვიძების შემდეგ ბავშვი გამოიყურება სრულიად ჯანმრთელად.

***– როგორ დავეხმაროთ ბავშვს მუცლის ფუნქციური ტკივილების დროს?***

– მუცლის ფუნქციური ტკივილები არ არის ჯანმრთელობისთვის საშიში მდგომარეობა, არ ესაჭიროება რაიმე განსაკუთრებული მკურნალობა და დამოუკიდებლად გაივლის ზრდასთან ერთად, თუმცა ამგვარი ტკივილები უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

მიზანშეწონილია გარკვეული დიეტა, კვების რეჟიმი. თუ გამოხატულია ყაბზობისკენ მიდრეკილება, რაციონში უნდა ჩავრთოთ საკვები ბოჭკოებით მდიდარი პროდუქტები, როგორიცაა ხილი, ბოსტნეული, ბოჭკოების შემცველი ფაფები, ჩირი.

ზოგადად, სასურველია კვება ნატურალური პროდუქტებით, კვების ნორმალური რიტმი – კვება არანაკლებ 4-ჯერ დღეში და ძილის წინ ყუათიანი კვებისგან თავის შეკავება.

საკმაოდ ხშირად ბავშვებში მუცლის ფუნქციური ტკივილების შეტევები აღმოცენდება სხვადასხვა გარკვეული სიტუაციის ან გამაღიზიანებლის პასუხად – მაგალითად, გარკვეულ კვების პროდუქტზე.

***– როგორ უნდა მივხვდეთ ამას?***

– თუ შეტევები იშვიათია, მათ აღმოცენებასა და გარკვეულ გარემოებებს შორის კავშირის შემჩნევა საკმაოდ რთულია. ასეთ შემთხვევებში სასარგებლოა ვაწარმოოთ ტკივილების ეპიზოდებზე დაკვირვება და ჩავინიშნოთ შემდეგი მონაცემები: რა სიტუაციაში აღმოცენდა ტკივილი, რა დროის განმავლობაში გრძელდება ტკივილი, რა ამცირებს ტკივილს.

ტკივილების შესახებ ამგვარი ჩანაწერის ანალიზი საშუალებას მისცემს მშობელსა და ექიმს, დააკვირდნენ ტკივილების განვითარების დინამიკას. ეს დაეხმარება მათ მიზეზის დადგენაში, რომლის მოცილებაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მდგომარეობას.

მშობლების მხრიდან მნიშვნელოვანია, ოჯახში შექმნან მშვიდი, ჰარმონიული გარემო, ყოველთვის დაუჯერონ ბავშვის ჩივილებს, თუმცა არ გამოხატონ განსაკუთრებული შფოთი, დაეხმარონ ბავშვს მუცლის ტკივილის დღიურის წარმოებაში, დაეხმარონ ბავშვს დასახული მკურნალობის სქემის განხორციელებაში, ბავშვის სურვილის გათვალისწინებით გააწევრიანონ სპორტულ სექციაში, ეცადონ გადაატანინონ ბავშვს ყურადღება ტკივილიდან რაიმე საინტერესოზე, მუცლის ტკივილის ყოველ ახალ ეპიზოდზე არ ატეხონ პანიკა – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვს შეექმნება შთაბეჭდილება, რომ სერიოზულად არის ავად.

## კალეიდოსკოპი

### მოზარდებს პარიზის კატაკომბებში გზა აებნათ

პარიზში გადაარჩინეს ორი მოზარდი, რომლებსაც კატაკომბებში გზა აებნათ და მიწისქვეშეთში სამი დღე გაატარეს.





სამაშველო ოპერაცია დაახლოებით ოთხი საათი გრძელდებოდა. ადგილობრივი მეხანძრეები დაკარგულების კვალის მისაგნებად მეძებარ ძაღლებს იყენებდნენ.

ერთ-ერთი დაკარგული – 16, ხოლო მეორე 17 წლის იყო. ისინი მიწისქვეშეთში შაბათს საღამოს ჩავიდნენ, თუმცა პოლიციამ მათი დაკარგვის შესახებ მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეიტყო.

მიწისქვეშა გვირაბებში ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსს არ აღემატება. გადარჩენილი მოზარდები ამჟამად ჰიპოთერმიის მკურნალობის კურსს გადიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

### ხელბურთელები მეოთხედფინალში დამარცხდნენ

**თურქეთი – საქართველო 32:26**

საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ბულგარეთში, განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატის მეოთხედფინალში, მძიმე ბრძოლაში 26:32 დამარცხდა თურქეთთან და ბრძოლას მე-5 ადგილისთვის გააგრძელებს. ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე ჩინეთი იქნება.

თურქეთი, კვიპროსი, ფარერის კუნძულები და კოსოვო კი ითამაშებენ ტურნირზე პირველობისთვის და ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარი შესარჩევი რაუნდის 3 საგზურისთვის.

საქართველო-თურქეთის პირველი ტაიმი თანაბარი იყო. ჩვენები ორჯერ იყვნენ წინ ერთი ბურთით, მეტოქის მაქსიმალური უპირატესობა კი 2 ქულა იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში თურქეთი 3 ბურთით გავიდა წინ (19:16), მაგრამ დიხამინჯიამ ჯერ გაათანაბრა, მე-40 წუთზე კი სწრაფი გარღვევის შემდეგ დაგვაწინაურა კიდეც – 22:21. მაგრამ, ზუსტად აქ დაგვიდგა კრიზისი. გუნდს დაღლილობა დაეტყო და შეცდომებს უმატა, ორჯონიკიძემ ტრავმის გამო მოედანი დატოვა, მეტოქემ კი ზედიზედ 6 გოლი გაგვიტანა – 22:27.

საქართველოს ნაკრებმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ თამაში ველარ შემოაბრუნა – 26:32.

**ბექა ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

– კარგი და საინტერესო თამაში იყო. მეტოქეს მეტი გამოცდილება ჰქონდა და ეს გადამწყვეტი გამოდგა, მათ კარგად გამოიყენეს ჩვენი შეცდომები. მე კმაყოფილი ვარ ბიჭებით... ბევრი კარგი მონაკვეთი გვქონდა და ხარისხიან ხელბურთს ვაჩვენებდით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი განვითარებისთვის.



**თეიმურაზ ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების ხელბურთელი:**

– რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ მოსაგებად, მაგრამ თურქეთმა ბოლოში ფიზიკურად დაგვჯაბნა. ჩვენს მომდევნო მეტოქეს, ჩინეთის ნაკრებს, არ ვიცნობთ, მაგრამ ყველაფერს გავიღებთ მოსაგებად.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ასტროპროგნოზი
### 19 ივნისისთვის



**ვერძი** – თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **კურო** – გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **ლომი** – ოჯახური ურთიერთობები კონფლიქტურია. აგრესია სრულ კრახს გამოიწვევს. საყვარელ ადამიანებს მეტი სითბო აჩუქეთ. **ქალწული** – მთლიანობაში, წარმატებული პერიოდია. სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **სასწორი** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ღრიანკალი** – დღე, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ, მიიღეთ სრულფასოვანი საკვები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ერიდეთ ყოველგვარ ნეგატივს. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **მერწყული** – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **თევზები** – პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. მრავალხმიანობა; 2. წყლისპირა მცენარე; 3. ... მანდელშტამი; 4. აბატ ფარიას ციხე; 5. „... და ვანო“; 6. შტ. ცვაიგის ნოველა; 7. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 8. გრამოფონის ფირფიტა; 9. ო.თაქთაქიშვილის ოპერა; 10. დაბალი დიპლომატიური რანგი; 11. გაუტკივარება; 12. მოკრივის ერთგვარი მდგომარეობა; 13. დიდი სწრაფმავალი ჯავშნოსანი გემი; 14. ყურძნის ჯიში; 15. ავსტრიის დედაქალაქი; 16. იაპონიის კუნძული; 17. კორეული ავტომობილი; 18. აკაკი ბელიაშვილის რომანი; 19. ბოსტნეული მცენარე; 20. ევროპული ვალუტა; 21. ვეშაპებზე სანადირო იარაღი; 22. პატარა მსხვილთავა მოშავო თევზი; 23. ჰერმან ... (ნობელიანტი მწერალი); 24. იმრე კალმანის ოპერეტა; 25. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 26. ქართული ბანკი; 27. დროშა; 28. ... პაჩინო; 29. ასო „ხ“-ს სახელწოდება; 30. ... ოსბორნი; 31. შინაური ცხოველი; 32. მემაღაროეთა პროფესიული დაავადება.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გემა; 2. განგი; 3. კაისა; 5. სულორი; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. გელათი; 18. „ანსა“.

**თარაზულად:** 1. „გორგია“; 4. კოსტიოლი; 7. ანჯამა; 8. სექტორი; 12. „ოტელო“; 13. გურონი; 15. „ლონდრე“; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. დინგო; 21. შამონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თემშარა; 2. ეგერი; 3. მერინოსი; 4. ბოლლიწო; 5. პანტომიმა; 9. ქონება; 12. მაშტოცი; 14. ლოკალი; 15. ვერე; 17. მტილი; 18. ლაპი.

**თარაზულად:** 1. „ბედეგი“; 7. თეოლოგია; 8. უშქარი; 10. კიაზო; 11. სარწყუნისი; 13. ღლიღვები; 16. ხანუმა; 19. ალკოჰოლი; 20. ლინოტიპი.

# ქეთევან კიკნაძე ჟურნალისტურ გამოძიებას ითხოვს



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან კიკნაძე ტელევიზიებს მიმართავს და ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას ითხოვს:

— ტელევიზიებს, კერძოდ, დაინტერესებულ პირებს, ვთავაზობ ჟურნალისტურ გამოძიებას, ვინაიდან მინდა შევიტანო სარჩელი მასზედ, რომ გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეებს გადაეცათ ჩუნეთის სათავადოების კუთვნილი მიწის ნაწილი. ჩვენ ეს მიწა გადავეცით საჩუქრად საპატრიარქოს, რომელმაც ეს მიწა გაყიდა.

კატეგორიულად მოვითხოვ მის დაბრუნებას, რადგან ჩვენ ვიფიქრეთ, ამ მიწებს გამოიყენებდა საპატრიარქო საკეთილდღეოდ, რასაც მე ამჯერად გამოვიყენებდი პირადი ინტერესებისათვის, მაგრამ შეველიეთ მას და გამოვიჩინეთ დიდსულოვნება, მაღლა დავაყენეთ საერთო საქმისადმი ინტერესები.

ჩუქება ოფიციალურად გაფორმებულია და არა გაყიდვა, ამიტომ ყოველ ღონეს ვიხმარ მისი დაბრუნებისათვის, რაც ძალიან წაადგება ოჯახს.

# ლიზა ბათიაშვილი მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსთა ათეულშია



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი ერთ-ერთ პრესტიჟულ დაჯილდოებაზეა წარდგენილი და მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსთა ათეულშია დასახელებული.

ყოველწლიური დაჯილდოება ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი უცხოური გამოცემის მიერ ტარდება. გამოცემის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა სია, რომელშიც 10 საუკეთესო ცნობილი მუსიკოსია დასახელებული.

რჩეულთა შორის არიან მევიოლინეები, პიანისტები, ჩელისტები, საოპერო მომღერლები და დირიჟორები.

რჩეულებისთვის ხმის მიცემა 16 ივნისს დაიწყო და 31 ივლისამდე გაგრძელდება. გამარჯვებულს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე 13 სექტემბერს დაასახელებენ.

# ქეთა თოფურიამ შვილს დაბადების დღე თბილისში გადაუხადა



მომღერალმა ქეთა თოფურიამ თავის ერთადერთ ქალიშვილს ოლივია გეიხმანს დაბადების დღე თბილისში გადაუხადა.

2 წლის იუბილე პატარა ოლივიამ წყნეთში დედიკოსა და ახლობლების გარემოცვაში აღნიშნა. იუბილარისთვის კაბა სპეციალურად შეიკერა, ულამაზესი ტორტიც გამოცხვა და სადღესასწაულოდ მორთულ აგარაკზე მულტფილმის გმირების ხილვით გახარებული ბავშვების მხიარულება გვიანობამდე ისმოდა.

ოლივიას დაბადების დღე მიულოცეს ქეთას მეგობრებმაც — ნინი ბადურაშვილმა და მისმა ელენემ, ქრისტინე იმედაძემ და მისმა ტაისიამ. ცნობილი სახეების გარდა, პატარა ოლივიას დაბადების დღეზე მისი ოჯახის ახლობლები და მეგობრებიც იმყოფებოდნენ.

# მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია აღდგენილია



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მირონწმინდაში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია დგას. ტაძარი უმძიმეს მდგომარეობაში იყო, არ ჰქონდა სახურავი, ჩამოშლილი იყო საპირე წყობა და, რაც დრო გადიოდა, ეკლესიის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდთან ერთად, სოფელ მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა, რის შედეგადაც მოიხსნა და შემდეგ აღდგა კამარისა და კონქის ავარიული ნაწილები, მთლიანად აღდგა შიდა და გარე საპირე წყობა, შირიმის სუფთა თლილი ქვით გადაეწყო და მოეწყო პილიასტრები, კამარის საბჯენი თარები და კონქი, მოეწყო სახურავი გლუვი ფურცლებით ლორფინის იმიტაციით, ინტერიერში მოეწყო კირქვის იატაკი და დამზადდა და დამონტაჟდა ხის კარ-ფანჯარა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ინდოელმა გლეხებმა ხუთმეტრიანი პითონი დაიჭირეს, რომელმაც თხა გადაყლაპა



ინდოეთის ასამის შტატის ქალაქ ბაიხატა-ჩარიალის მცხოვრებლებმა დაიჭირეს პითონი, რომელმაც თხა გადაყლაპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გიგანტური გველის ირგვლივ, რომლის სიგრძე 4,5 მეტრს აღემატებოდა, თავი ხალხმა მოიყარა. ერთ-ერთმა გველს კისერზე თოკის მარყუჟი გადააცვა, რათა მას გაქცევა ვერ მოეხერხებინა ადგილზე ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლების მისვლამდე.

ბრბო რეპტილიას კუდით ქაჩავდა, კისერზე იხვევდა და მასთან სურათებს იღებდა. მოზრდილი თხის გადაყლაპვის შემდეგ პითონს აღარ ჰქონდა იმის უნარი, რომ ბრბოსთვის რაიმე სახის წინააღმდეგობა გაეწია და, ფაქტობრივად, მათ თავხედობას რეაგირების გარეშე ტოვებდა.

ადგილზე მისულმა ინდოეთის სატყეო სამსახურის წარმომადგენლებმა ქვეწარმავალი ტყეში გადაიყვანეს და გაუშვეს.

### ჩინეთის ნაკრძალში ძაღლი ვეფხვის ბოკვერებს ზრდის



ჩინეთის პროვინცია შანდუნში ძაღლმა დედების მიერ მიტოვებული ვეფხვების ბოკვერები მიიღო და კვებავს. პარკ სისიაკოუს თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, საკვების გარეშე დარჩენილი ვეფხვების ნაშიერები ნაკრძალის ბინადარი ძაღლისთვის მიეყვანათ, რომელსაც ახლახან ეყოლა ლეკვები. ძაღლმა ბოკვერები მიიღო და მათ რძით თავის ორ ლეკვთან ერთად კვებავს.

ორი ოქროსფერი და ორიც თეთრი ვეფხვის ბოკვერი შესაძლოა შიმშილით დაღუპულიყვნენ, ვინაიდან მათმა დედებმა მათზე ზრუნვას თავი აარიდეს.

ალსანიშნავია, რომ ოქროსფერი ბოკვერები მეტად სათუთ სახეობას განეკუთვნებიან, რომლებიც იშვიათობას წარმოადგენენ ველურ ბუნებაში. ასევე იშვიათობას წარმოადგენს თეთრი ვეფხვებიც, მაგრამ სულ სხვა მიზეზით: მათი შეფერილობა (შავყავისფერი ზოლები თეთრ ბეწვზე და ცისფერი თვალები) მუტაციის შედეგია, რომელსაც 10 ათასიდან მხოლოდ ერთხელ შეიძლება შევხვდეთ.

### იტალიის პოლიციამ ცრუ პრინცი ამხილა



იტალიის პოლიციამ ჩაატარა გამოძიება, რომლის მიზანი იყო დაედგინათ ადამიანის ვინაობა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში თავს ჩერნოგორიისა და მაკედონიის მეფეების შთამომავლად ასაღებდა. სტეფან ცერნეტიჩი მონარქის სტატუსს ცნობილ პიროვნებებთან და სხვა საზოგადოებრივ მოღვაწეებთან ურთიერთობისთვის იყენებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 56 წლის ცერნეტიჩი რეგულარულად ხვდებოდა დიპლომატებს, სპორტსმენებს, ღვთისმსახურებს, კერძოდ, გაიცნო ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი და საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, არქიეპისკოპოსი იერონია II. ასევე 2014 წელს მსახიობ პამელა ანდერსონს გრაფინია დე გიგლიოს ტიტული უბოძა მისი ეკოლოგიური საქმიანობის გამო.

ცერნეტიჩმა იტალიელ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს დაეჭვების საბაბი მას შემდეგ მისცა, როდესაც რომის სასტუმროს დატოვებისას მის მფლობელს მოსთხოვა, ანგარიში მისთვის მაკედონიის საელჩოში გადაეგზავნა. თუმცა აღმოჩნდა, რომ დიპლომატებს „მისი უმაღლესობის“ შესახებ არასოდეს არაფერი სმენოდათ.

დეტექტივებმა გამოარკვიეს, რომ ცერნეტიჩი დაბადებული იყო იტალიაში, სლოვენიის საზღვართან და ცხოვრობს ტურინში და არა ბელგრადსა და ლაჟვარდოვან სანაპიროზე, როგორც თავად ამტკიცებდა. ასევე მათ აღმოაჩინეს სამალავი, სადაც გაყალბებული პასპორტი ინახებოდა. პოლიციელებმა გააფრთხილეს ცერნეტიჩი, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ შესაძლოა ის დააპატიმრონ.

### ნიაგარის ჩანჩქერიდან განმეორებითი ნახტომი ამერიკელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა



ამერიკელი კირკ ჯონსი ნიაგარის ჩანჩქერიდან გამჭვირვალე გასაბერი ბურთით გადმოხტომის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს.

მამაკაცის ცხედარი მდინარე ნიაგარაში ჩანჩქერიდან დაახლოებით 19 კილომეტრის დაშორებით აღმოაჩინეს. პოლიციელებმა დაახლოებით სამი მეტრი დიამეტრის ბურთი შენიშნეს, რომელიც ნიაგარის ჩანჩქერიდან ქვევით მიექანებოდა. მოგვიანებით ის ტურისტების ექსკურსიაზე გადამყვანი ნავში მყოფებმა აღმოაჩინეს, თუმცა შიგნით არავინ იყო.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, ეს ჯონსისთვის ნიაგარის ჩანჩქერიდან გადახტომის უკვე მეორე მცდელობა იყო. პირველად მან ეს 2003 წელს გააკეთა. მაშინ ნახტომი ყოველგვარი დაზღვევისა და დამცავი აღჭურვილობის გარეშე მშვიდობიანად დასრულდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმისკენ მამაკაცს დეპრესიამ უბიძგა.

ალსანიშნავია, რომ მაშინ ნახტომის განხორციელების შემდეგ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ჯონსი პოლიციამ დააკავა. ის 2,2 ათასი დოლარით დააჯარიმეს და ერთი წლის განმავლობაში ნიაგარის პარკების ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს.

### ჩრდილოეთის ზღვაში ორთავიანი ზღვის ღორი დაიჭირეს



თევზსაჭერმა გემმა, რომელიც ჰოლანდიის სანაპიროსთან ზღვაში თევზის რეწვითაა დაკავებული, ორთავიანი ზღვის ღორი დაიჭირა. ამ ინფორმაციას როტერდამის ბუნებისმცოდნეობის მუზეუმის გამოცემა ავრცელებს.

უჩვეულო ცხოველი თევზსაჭერ გემზე მოხვდა. მეთევზეები ნანახით გაოგნებულნი დარჩნენ, მაგრამ გადაწყვიტეს, ის მეცნიერებისთვის არ ეჩვენებინათ და ისევ ზღვაში გადაეგდოთ. ისინი შიშობდნენ, რომ მკვდარი ზღვის ღორის გემზე გაჩერების უფლება არ ჰქონდათ. მისთვის სურათის გადაღების შემდეგ თევზი თავიდან მოიშორეს.

სპეციალისტებმა ფოტოსურათის შესწავლის შემდეგ ივარაუდეს, რომ თევზსაჭერი გემის ბადეში მოხვდა ახლადდაბადებული სიამის ტყუპების გვამი, რომელიც დაბადებიდან მალევე დაიღუპა. დღემდე მეცნიერებისთვის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ცნობილი, როდესაც ზღვის ღორმა ტყუპები დაბადა. ამ სახეობის სიამის ტყუპები ბიოლოგებმა პირველად ნახეს.

— შეტყობინებები ვეშაპებისა და დელფინების სიამის ტყუპების შესახებ უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს, — აღნიშნულია გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზღვის ღორები ვეშაპისნაირთა რიგის ცხოველებს განეკუთვნებიან და მომცრო ზომის დელფინებს ჰგავანან. მათი სიგრძე 1,6 მეტრს, ხოლო წონა 60 კილოგრამს აღწევს. ისინი გავრცელებულნი არიან ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე გვხვდება შავ ზღვაშიც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

საზოგადოება „გავამწვანოთ თბილისის“ პრეზიდიუმი თანაუგრძნობს საზოგადოების თავმჯდომარეს, დარგობრივი აკადემიის აკადემიკოს ანზორ კუპატაძეს დედის, სათნო ქალბატონის

**სონია კუპატაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ოთხშაბათი
19 ივნისი

**შესაძლებელია ცვლილებები.**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. მადაგასკარის პინგვინები **09.00** დილის მოამბე **10.00** პირადი ექიმი. **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტელემანი **12.45** კაცების დრო **13.50** გურმანია **14.20** წიგნების თარო **15.00, 02.20** C-სტუდია **16.15** ეკონომეტრი **16.30** ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ **17.00, 03.20** რეალური სივრცე **18.30** ხანმოკლე XX საუკუნე **20.40** სპორტის დაფა **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** მთავარი **23.00, 01.00** მხ/ფ

**08.00** დოკ/ფ "ნამდვილი პანამა" **09.00** დოკ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **10.00** დოკ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **11.00** დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ანატოლიის გარგარი" **15.00** დოკ/ფ "გენერალი კანჯიშივარა" **17.00** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **18.00** დოკ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **19.00 ფეხბურთი - კონფედერაციის თასი. ავსტრალია - გერმანია** **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 2**" **01.00** მხ/ფ "**ლოკაუტი**" **02.45** მხ/ფ "**შურისძიების ქალა**" **04.25** მხ/ფ "**რეკრუტი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** X-ფაქტორი

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**რონინი**" **00.50** მხ/ფ "**დაქირავებული მკვლელები** " **03.20** მხ/ფ "**ტელევიქტორინა**" **05.50** მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება** "

**08.00** დოკ/ფ "ცხოვრება ტრანსფორმაციაში" III ნაწ. **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** პანორამა **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.30** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" VI ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 03.50** ბიზნეს-კოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.20** Hellow თბილისი **18.00, 0.00** ფაბრიკა **20.00, 02.45** პრიორიტეტი **21.10** კიჟილიქსი **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**ყალბი იდენტობა**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-როგორ გახდა უმოწყალო კაცი მოწყალე **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "რწმენის აღორძინება" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ძახილი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ველური ბუნება"-ინდოეთის ლომები **15.55** სპექტაკლი-"**საქართველოს უკანასკნელი დედოფალი**" **17.30** კლასიკა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "ხორბალი ლომთაგორაზე" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი "მამა ელიოზი" **20.40** ძილი ნებისა "ადამი და ევა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-იძულებით მტირალის შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"მეფე თამარი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ივერიის ეკლესია "ივირონის მემკვიდრეობა" **00.30** მოკ. მხ/ფ "**წითელი ბუშტი**" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4106 | ევრო — 2.6941 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0783 | 100 რუსული რუბლი — 4.1834 |

## ამინდის პროგნოზი 19 ივნისისთვის





**1 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი I




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

**6 ივნისიდან**




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

**9 ივნისიდან**

საქართველოს მეფეთა ისტორია




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– როგორ ხარ?
– ოჯახურმა ცხოვრებამ ისე გამომაწრთო, რომ სიკვდილის საერთოდ აღარ მეშინია.

●●●

კაცი ქალს მიმართავს:
– გოგონი, გოგონი, რამდენი წლის ხართ?
– მონა იზაურა ნანახი გაქვს?
– და ეგ ვინ არის?
– აი, მე კი ნანახი მაქვს...

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:
– სად ხარ?
– ქალაქის ცენტრში, საცობში ვარ გაჭედილი.
– ხომ გეუბნებოდი, რომ ჩვენი მერიის გადამკიდეს, მანქანა სახლში დაგეტოვებინა და ისე წასულიყავი.
– მასეც მოვიქეცი! ახლა ტაქსიში ვზივარ.

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:
– შენ ღამეში ერთხელ ძლივს აკეთებ, აი, ჩვენი მეზობელი როზას ქმარი კი თურმე 25-ჯერ აკეთებს.

ქმარმა როზას ქმარს დაურეკა და ეკითხება:
– ერთი მითხარი, რას ჭამ, რას სვამ, როგორი დღის რეჟიმი გაქვს?
– ვჭამ ყველაფერს, არანაირი საგანგებო რეჟიმი, სახლი – სამსახური, სამსახური – სახლი, და რატომ მეკითხები?
– შენს ცოლს ჩემისთვის უთქვამს, რომ ღამეში 25-ჯერ აკეთებ, მე კი – მხოლოდ ერთხელ.
– შენ მაგას ნუ უსმენ, ჩემი სულელი „წინ“ „უკანს“ ითვლის!

●●●

კაცი ტელეფონზე რეკავს:
– ალო, პოლიციაა?
– დიახ.
– გეხვეწებით, გთხოვთ, დამეხმარეთ... გევედრებით... ჩემი სიდედრი დაიკარგა...
– თქვენი მესმის. შეეცადეთ, ყურმილი დიდხანს არ დაკიდოთ. მიპასუხეთ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“. პისტოლეტით გემუქრებიან?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– საქონელი ვისთან უფრო იაფია, მწარმოებელთან თუ დილერთან?
– ყარაულთან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**15 ივნისიდან**




ფილიპ ჩესტერფილდი
**წერილები ჩემს ვაჟს**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


# საქართველომ ამერიკა დაამარცხა და არგენტინა ელოდება

**ამერიკა-საქართველო 17:21**

ბორჯღალოსნები წარმატებით აგრძელებენ ივნისის ტესტმატჩებს და ამერიკის კონტინენტზე ისტორიას ისტორიაზე წერენ – ჩვენებმა ამერიკის ნაკრები სტუმრად პირველად დაამარცხეს.

აქამდე ამ გუნდთან 4-ჯერ გვქონდა ნათამაშები და მეტოქეს სტუმრად ორჯერვე ჩამოვრჩით (13:31 და 20:36), 2010 წელს თბილისში ბოლო წუთზე გატანილი ლელო-გარდასახვით ვძლიეთ (19:17), ხოლო 2013 წელს რუსთავში ჯარიმა ბოლო წუთზე მივიღეთ (23:25). მეხუთე ჯახი ჯორჯიის შტატში, ატლანტაში შედგა და ურთიერთშეხვედრებში ანგარიში 2:3 გახდა.



მილთონ ჰეიგის შეგირდებმა პირველ ტაიმში 18 ქულა მოიხვეჭეს და ტაიმი 15 ქულის სხვაობით მოიგეს, ხოლო შესვენების შემდეგ მონაგარი კიდევ 3 ქულით გაზარდეს. მაგრამ მეტოქე არ გატყდა და 2 საპასუხო ლელო დადო, რამაც დასკვნით წუთებს დაძაბულობა შემატა, თუმცა „არწივების“ ბოლო მცდელობა მოვიგერიეთ და თამაში ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა.

საქართველო მეტოქის საწყის იერიშებს მედგრად დაუხვდნენ. „არწივებმა“ ფეხით თამაშში აგვიყოლიეს, რამდენჯერმე ხაზზე სცადეს ბურთის გაშლა და სახიფათოდაც გვიტევდნენ, მაგრამ მე-10 წუთზე სწორედ მათ დაუშვეს შეცდომა: მერაბ კვირიკაშვილმა ბურთი მოიხელთა და მარჯვენა ფლანგზე გაიქცა, პირველ მბოჭავს ლამაზი ფინტით დაუსხლტა, მეორეს სისწრაფეში აჯობა და ალამთან ლელო დაამიწა. გარდასახვა მიზანს ოდნავ ასცდა.

მასპინძლებმა სწრაფად მოინდომეს პასუხის გაცემა და ჩვენს 22-ში ხაზიც გაიჭრა, მაგრამ გარდაუვალი ლელოსგან ალექსანდრე თოდუამ დიდებული ბოჭვით გვიხსნა. რადგან ლელო ვერ შედგა, მე-16 წუთზე მეტოქემ ჯარიმა კარში დაარტყა და სხვაობა შეამცირა. **გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## პრინცმა ჰარიმ ლონდონის ბაზარი მოინახულა

ბრიტანეთის პრინცი ჰარი ლონდონის პროდუქტების ბაზარ ბორო-მარკეტს სტუმრობდა. ამ ინფორმაციას კენსინგტონის სასახლის ოფიციალური ტვიტერ-აკაუნტი ავრცელებს.



უინძორების დინასტიის წარმომადგენელი გაესაუბრა გამყიდველებსა და პაბების მფლობელებს, რომელთა თანამშრომლები და კლიენტები ბორო-მარკეტის ტერაქტის თვითმხილველები გახდნენ. კერძოდ, ჰარი გაესაუბრა მცხობელ მეთ ჯონსს, რომლის თანამშრომლებმა ტერორისტებს საკადრისი პასუხი გასცეს. ასევე ჰარი გაესაუბრა დაცვის თანამშრომელ განგ გარბუჯას, რომელიც სწორედ ტერორისტების შეტევის დროს მორიგეობდა.

– ამ თანამეგობრობისა და მთლიანობაში ლონდონის ძალა დიდებულია, – აღნიშნა პრინცმა.

აღსანიშნავია, რომ ტერორისტების თავდასხმის შემდეგ ბაზარი 11 დღის განმავლობაში დაკეტილი იყო.

## ჯო ბაიდენმა უცნობ სტუდენტ გოგონას აკოცა



აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მერილენდის შტატში მორგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ გოგონას ლოყაზე აკოცა. გოგონამ ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

გოგონასა და პოლიტიკოსის ვიდეორგოლმა მცირე დროში 1,4 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა და ის უამრავმა გამოცემამ და ტელეარხმა გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, რომ დემოკრატიული პარტიის წევრ ჯო ბაიდენს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობა 2009-დან 2017 წლის ჩათვლით ეკავა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ღია მათემატიკური მრუდი; 8. მოდელი; 9. ზემაღალი სიხშირის ელექტრონმილაკი; 11. ერიტრიის დედაქალაქი; 12. დახურული, სარკმლებიანი ოთხთვალა ეტლი; 14. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ძალიან იშვიათი ნივთი; 20. ერთგვარი დასახლება; 22. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გასვლა დროსტარების მიზნით; 23. გალაკტიონის ლექსი; 24. დროებითი გადაწყვეტილება ან შეთანხმება; 25. იაპონური ჭიდაობა; 26. ქიმიური ელემენტი; 27. იტალიური ფიჭვი.

**შვეულად:** 1. ბანქო; 2. ხის ჩასაბერი საკრავი; 4. მხატვრულად გაფორმებული პატარა წიგნაკი; 5. ამინდი; 6. აქლემების მწკრივი; 7. ადამიანი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის; 10. იგივეა, რაც მრწამსი; 12. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში მგალობელთათვის; 13. რისამე მწვავე ნაკლებობა; 16. ლაქიების, მეეტლეების, შვეიცრების ფორმის ტანსაცმელი; 17. განცხადება: „ყველა ბილეთი გაყიდულია“; 18. გარეული ხარი; 19. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული (XIX-XX ს.ს. მიჯნა); 21. ხილის გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*